საერთო გაზეთი

№17 (475) • 2 მაისი, 2018წ. • ოთხშაბათი • WWW.SAERTOGAZETI.GE • ფასი 1 ლარი

ბიძინა ივანიშვილის ფენომენი

ვახტანგ ხარჩილავა:

2011 წლის 5 ოქტომბერი – ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში შემოსვლის დღე და 2018 წლის 26 აპრილი – ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში დაბრუნების დღე, თავისი მნიშვნელობით ერთი და იგივეა.

როგორც 2011 წლის 5 ოქტომბერი იყო საქართველოს ცხოვრებაში ახალი ეტაპის დასაწყისის დღე, ასევეა 2018 წლის 26 აპრილი – დიდი ცვლილებებისა და დიდი განახლების დღე.

– რატომ დაბრუნდა ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკაში?

ეს არის კითხვა, რომელზეც უამრავი ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავებული პასუხები ისმის.

– რატომ დაბრუნდა ბიძინა ივანიშვილი? ის დაბრუნდა საქართველოსთვის, ის დაბრუნდა თითოეული ჩვენგანისთვის, მათ შორის იმათთვისაც, ვისაც მისი დაბრუნება, შეიძლება, დიდად არ გახარებია.

ის დაბრუნდა იმისთვის, რისთვისაც მოვიდა 2011 წელს – საქართველოს გადასარჩენად, საქართველოს საშველად.

არც მაშინ და არც ახლა მას არავინ აძალებდა, ეს გაეკეთებინა. მას შეეძლო მშვიდად და ბედნიერად ეცხოვრა, როგორც საქართველოში, ასევე მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში, მაგრამ მან სხვა გზა აირჩია...

რამდენიც არ უნდა იფურთხოს „რუსთავი-2“-მა, რამდენიც არ უნდა იყაყანონ ე.წ. ოპოზიციურმა პარტიებმა, რამდენი გესლი და შხამიც არ უნდა ანთხიონ მოშურნეებმა, პროფესიონალმა ცილისმწამებლებმა და პროვოკატორებმა, ვერავინ ვერ გადაფარავს იმ ფაქტს, რომ ბიძინა ივანიშვილი, როგორც მეცენატი და ქველმოქმედი, როგორც საზოგადო მოღვაწე, გნებავთ, როგორც პოლიტიკოსი, ფენომენალური მოვლენაა საქართველოს ისტორიაში.

პოლიტიკა ვახსენეთ და აქვე ვიტყვი, რომ, მიუხედავად იმისა, რომ თვითონ პოლიტიკა მაინცდამაინც არ უყვარს და მას თავის საქმედ არ თვლის, ის უნიჭიერესი პოლიტიკოსია.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, ის პოლიტიკისთვის დაბადებული ადამიანია.

სწორედ ამ თვითნაბადი ნიჭის წყალობით მოახერხა მან, დროის მცირე მონაკვეთში პოლიტიკურად გაეკოტრებინა პოლიტიკაში ჭიპმოჭრილი პერსონები, რომლებიც დღეს პოლიტიკურ არენაზე ჭაჭანაჭამი ინდაურებივით დაბორიალობენ და ღობე-ყორეს ედებიან.

იქნებ ვინმემ თქვას, რომ ამის გაკეთება ადვილია, როცა დიდი ფული გაქვს, თუმცა ფული აქ არაფერ შუაშია (ფული სხვებსაც ჰქონიათ, მაგრამ მათი მოღვაწეობა პოლიტიკაში კრახით დამთავრებულა).

ფული კი არა, ბიძინა ივანიშვილი ისეთ მოულოდნელ, ისეთ გამაოგნებელ სვლებს აკეთებს ხოლმე, რომლის გაკეთება მხოლოდ მახვილი პოლიტიკური ალღოსა და ინტუიციის ადამიანს შეუძლია, რომელიც ზუსტად აფასებს სიტუაციას და მომენტალურად იღებს ამ სიტუაციის ადეკვატურ გადაწყვეტილებას.

რამდენი ექსპერტია საქართველოში, რამდენი ანალიტიკოსია, რამდენი პოლიტიკოსია, მაგრამ თუნდაც ერთმა განჭვრიტა წინასწარ, რომ ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკაში დაბრუნდებოდა?

არა, ასეთი რამ არავისგან არ თქმულა, ასეთი პროგნოზი არავის არ გაუკეთებია, რადგან ივანიშვილის პოლიტიკაში დაბრუნებას ყველა გამორიცხავდა – ის დაბრუნდა და ამ დაბრუნებით ყველას და ყველაფერს ზუსტი და ამომწურავი პასუხი გასცა.

აი, ეს არის პოლიტიკოსობა, აი, ეს არის ვირტუოზული, მაღალი კლასის ხელოვნება.

●

მე მეჩვენება, რომ ბიძინა ივანიშვილმა, როცა მიდიოდა, მაშინაც იცოდა, რომ აუცილებლად დაბრუნდებოდა.

მას, შესაძლოა, ისიც ჰქონდა გამოანგარიშებული, როდის დადგებოდა „მეორედ მოსვლის“ ისტორიული მომენტი.

დარწმუნებული ვარ, უახლოეს მომავალში ბიძინა ივანიშვილი ისეთ მოულოდნელ ნაბიჯებს გადადგამს, რომლებზეც „ყოვლისმცოდნე“ ქართულ პოლიტიკურ სპექტრს წარმოდგენაც კი არ აქვს.

ის რაღაცით ჰგავს იმ გროსმაისტერს, რომელიც ერთდროული თამაშის სეანსზე ერთად ეთამაშება ასობით მოჭადრაკეს და ყველა დაფაზე იგებს.

●

როცა ბიძინა ივანიშვილზე ვფიქრობ და, იმავე დროს, ქვეყნის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში პარალელებს ვეძებ, ბევრს ვერ ვპოულობ ისეთს, მას რომ გაუტოლდეს და გაუთანაბრდეს.

არ ვგულისხმობ მხოლოდ რიგით მოქალაქეებს, ბიზნესმენებს, ქველმოქმედებს...

ბევრი მეფე ჰყოლია საქართველოს, მაგრამ მათ შორის რამდენს აუგია და რამდენს გადაურჩენია ამდენი ეკლესია-მონასტერი, ამდენი თეატრი, ამდენი უმნიშვნელოვანესი შენობა-ნაგებობა, ამდენი ბაღი, ამდენი საავადმყოფო, ამდენი სპორტული კომპლექსი და ა. შ. და ა. შ.

რამდენ მეფეს გაუღია ამდენი ოქრო-ვერცხლი ხელმოკლეთა და გაჭირვებულთა დასახმარებლად, მათი ოჯახების სარჩენად. სნეულთა და უმწეოთა გადასარჩენად, რამდენიც ბიძინა ივანიშვილმა გაიღო?

ვიღაც გამომიხტება და იტყვის: – ნახეთ, ნახეთ, ბიძინა ივანიშვილს მეფეებს ადარებს და მეფეებს უტოლებსო.

არავის არავისთან არ ვადარებ და არავის არ ვუტოლებ, უბრალოდ, სიმართლეს ვამბობ, იმ სიმართლეს, რომლისთვისაც თვალის გასწორება ქართველთა ერთ ნაწილს, ასე ძალიან უჭირს.

ჩვენ, ბიძინა ივანიშვილის თანამედროვეებს, დროის და მანძილის სიახლოვე ხელს გვიშლის, მთლიანობაში, სრულად დავინახოთ იგი, თუმცა დრო გაივლის და მომავლის მეისტორიე აუცილებლად გაკვირდება და გაოცდება მის მიერ ქვეყნისთვის გაწეული ღვაწლისა და სამსახურის გრანდიოზული მასშტაბებით.

ამ ფონზე სრულიად ალოგიკური, ანტისახელმწიფოებრივი, ანტიქართული ხასიათისაა ე.წ. ოპოზიციური პარტიების მოწოდებები, როგორმე წელსვე დაამთავრონ ბიძინა ივანიშვილის მოღვაწეობა პოლიტიკურ ასპარეზზე.

ცალსახად და ერთმნიშვნელოვნად შეგვიძლია ვთქვათ: ვინც ბიძინა ივანიშვილს ებრძვის, ის, ფაქტობრივად, ებრძვის საქართველოს.

უფრო მეტიც, ვისაც ბიძინა ივანიშვილის დამარცხება სურს, სინამდვილეში, საქართველოს დამარცხება სურს, რასაც სწორედ ბიძინა ივანიშვილის ფაქტორი უშლის ხელს.

●

ბიძინა ივანიშვლის პოლიტიკაში დაბრუნებით, პირველ რიგში, „ქართული ოცნება“ უნდა დაბრუნდეს იმ იდეებით, იმ კონცეფციებით, იმ ეროვნული მუხტით და ენერგიით, რითაც ის შემოვიდა ქართულ პოლიტიკაში.

„ქართული ოცნება“ არც „ძველებისაა“ და არც „ახლების“, ის ქართველი ხალხის საერთო მონაპოვარია და, აქედან გამომდინარე, უპირველეს ყოვლისა, ის უნდა დაიბრუნოს ქართველმა ხალხმა.

ბიძინა ივანიშვილის დაბრუნების მთავარი მიზანი სწორედ ეს არის...

„საერთო გაზეთი“ – გაზეთი მოაზროვნე ჯენტლმენისთვის

დაბრუნება, როგორც მეორედ მოსვლა

კობა არაბული:

ივანიშვილის მოსვლის მეორე ეტაპი უნდა იქცეს აღდგინების და განახლების პროცესად, გაჩენილი „ხვრელების“ და „წამლილი“ ზონების განახლების ხელოვნებად.

ურთულესი დრო დგას კულტურისთვის, მორალისთვის, ეკონომიკისთვის, ერის დემოგრაფიული გადარჩენისთვის...

ივანიშვილს დახვდა „ქართული ოცნების“ ერთგვარი ჩონჩხი, რომელიც თავიდან ასაწყობია. ეს სავალალო რეალობაა!..

აქ მინდა მოვიტანო (გავიხსენო) ასეთი პოეტური ტექსტი, ერთგვარი ფილოსოფიური სენტენცია:

„ენკენობას – კიდობნის გახსნის დღეს –
მოულოდნელად ხოგაის მინდი დაბრუნდა თავის საშობლოში!
პირველად ხვთიშობლის ნიშმა იცნო იგი.
მერე – პირიმზის ყვავილმა, რომელიც ის-ის იყო, ამოდიოდა მიწიდან...
ბრუნდებოდა ხოგაის მინდი:
თანდათან ჩამოდიოდა სინათლე მთებზე,
ბრუნდებოდა ღამე – ღამეში,
დღე – დღეში,
სიხარული – სიხარულში,
დარდი – დარდში,
ზამთარი – ზამთარში,
ყვავილი – თოვლში...
ყველაფერი თავის ადგილზე დგებოდა...

ეს ერთგვარი მისტიკური დროა, საბედისწერო, მაგრამ შემობრუნებული...

ასეთი უნდა იყოს „მაგის“ და წინამძღოლის დაბრუნება მისტიკურ დროში...

მისი მოსვლით ბევრი რამ უნდა იცვლებოდეს, უწინარეს, ადამიანი უნდა უბრუნდებოდეს ხვთიურ ბუნებას და ბუნება – საკუთარ თავს... და ადამიანის დაბრუნების სიხარულს გრძნობდეს თუნდაც თოვლიდან ამოსული ყვავილი...

ივანიშვილს განგებამ ასეთი მისია დაუწესა...

●

ბიძინა ივანიშვილმა შეაჩერა საკაშვილი და ახალი პროცესი დაიწყო – ეს იყო პირველი ურთულესი ფაზა – რაღაცის დასრულება და სხვა ეტაპზე გადასვლა...

მაგრამ ბიძინა ივანიშვილი წავიდა და პროცესი შეჩერდა...

იგი თავისით არ გაგრძელდა...

და აი, იგი კვლავ შემობრუნდა და დადგა იმ ადგილზე, საიდანაც წავიდა!

და ეს ასეც უნდა მომხდარიყო...

●

ზნეობრივ რევოლუციებს პიროვნებები ახდენენ!

ეკონომიკურსაც...

კულტურულსაც...

თავისით არაფერი ხდება...

ხოლო „უპიროვნო“ ქვეყანაში, ულიდერო, უგმირო საზოგადოებაში, ქვეყანას ანარქია და „უპატრონო ფარის სინდრომი“ იპყრობს და წინ და უკან დადის – ერთ ადგილს ტკეპნის, როგორც ბუდეში შესული მზე...

ანდაც, უფსკრულში იჩეხება.

აგრესიულ, ულიდერო ლიბერასტულ საზოგადოებას არ უნდა ლიდერი, რომელშიც აკუმულირებული იქნება სულიერი მისია, ეროვნული დაცვის იდეა და ყოველივე ის, რასაც ერის მოძრაობის (დინების) სწორად წარმართვა შეუძლია.

მათ ურჩევნიათ, საზოგადოებისთვის „გამოხატვის თავისუფლება“ იყოს მთავარი იდეა (?!), რასაც მორალურ ნიველირებამდე და ფასეულობათა ნგრევამდე მიჰყავს ქვეყანა.

„გამოხატვის თავისუფლება“ ერთგვარ უმორალო, სამართლის არმქონე სახელმწიფოს თუ საზოგადოების არსებობას გულისხმობს...

ყველაფრის ქმნა და თქმა გიჟის დონეზე და არაფერზე რეაქცია და პასუხის გაცემა...

ასეთი საზოგადოება ჩამოგვიყალიბდა ჩვენ...

ეს არის რევოლუცია სულიერი დეფორმაციისკენ და ანომალიისკენ მიდრეკილი, რომელსაც სატანური ძალები ახვევენ XXI საუკუნის მსოფლიოს ახალი ფსევდოცივილიზაციის სახელით.

●

ვინ გამოასწორებს ამ ვითარებას? ვინ დაუპირისპირდება მსოფლიო მორალურ კრიზისს და ლიბერასტულ ძალადობას?! ამას ამერიკის პრეზიდენტი ვერ ახერხებს – ტრამპს საპროტესტო დემონსტრაციებს უმართავენ, არა მარტო იქ, ამერიკაში, არამედ აქ, საქართველოში ჩვენი ლიბერასტი ენჯეოები. არ არის ეს ტრაგიკომიკური ვითარება?!

ვინ უშველის ამას? საზოგადოება, რომ იტყვიან, „დააჩმორეს“ ტელევიზიებმა. იგი ზომბირებული და წაშლილია.

არც ერთი ტელევიზია სახელმწიფოს და ერს არა აქვს, ყველა მტრის წისქვილზე ასხამს წყალს!

ყველა ტელევიზიიდან მოდის მაზომბირებელი, ანტიქრისტიანული, ანტიეროვნული აგრესია (პროპაგანდა), უარყოფითი, შავი ენერგია...

ინგა გრიგოლიას კივილი ეკრანს ხეთქავს, არ ჩამოჰყავს ტრიბუნიდან გირჩები, ლიბერასტი ნარკომანები და შალიკოს ტიპის კლონები (რომელმაც კვირაში ერღხელ მაინც ასე უნდა დაიწყოს თავისი გამოსვლა: „ოლიგარქმა ბიძინა ივანიშვილმა გაყიდა და დაანგრია საქართველო!..“)

გახსოვთ, რიყიდან გაქცეული, საკაშვილისავე სიტყვით, ბაზალეთში ტახტის ქვეშ (თუ კასრში) კურდღელივით რომ ემალებოდა?!

ახლა მისი ხელის ლაქია გახდა, მესამედ მიეყიდა ეშმაკს და მეზობლის ფინიასავით ჰყავს ჩამოკიდებული შარვლის მუქასარზე ბიძინა ივანიშვილს!

ამბობენ, ყოველ ასეთ გამოხტომაზე მას 10 000 დოლარს აძლევენ საკაშვილის „ანგარიშიდან-ო“. ეს მართლა სირცხვილზე უარესია...

●

ივანიშვილის დაბრუნება, მისი „მეორედ მოსვლის“ გადაწყვეტილება, არ არის მარტივი. მან თავიდან უნდა აღადგინოს მის მიერ ერთხელ უკვე დალაგებული ქვეყნის „ინტერიერი“ და გადაიყვანოს სრულიად სხვა, ახალ, მოულოდნელ ფაზაში...

მან უნდა გააკეთოს რამდენიმე ურთულესი სვლა პოზიციის მოსაგებად, რომელიც შეცვლის ვითარებას, როგორც ეკონომიკაში, ასევე კულტურასა და ეთნო-ფსიქიკაში...

მსოფლიო პოლიტიკას ტრამპი ვერ ცვლის და ეს ივანიშვილსაც გაუჭირდება, მაგრამ საკუთარი ერის ანომალიური ვითარება უნდა დაძლიოს მის მიკროსივრცეში!

ეს დაბრუნება დაბრუნებაც უნდა იყოს და „მეორედ მოსვლაც“... მისი მოქმედება უნდა გახდეს რადიკალური და უკომპრომისო...

„ქართული ოცნება“ უნდა დააბრუნოს ქართულ ოცნებაში, ამ ცნების ფართო გაგებით და ქვეტექსტით!..

რა ხდება, ვინ გაიყვანა ქართული ოცნებიდან „ქართული ოცნება“, რამ გაართულა სიტუაცია და გამოიწვია ვითარების სტაგნაცია, თითქოს ყველაფერი გაჩერდა და შეიბოჭა, გაიფლანგა ივანიშვილის ავტორიტეტი...

რა მოხდა? შემიძლია ვთქვა, რომ ივანიშვილის გასვლამ პოლიტიკიდან გამოიწვია ერთგვარი ფსიქოლოგიური სტრესი და ნიჰილიზმი ხელისუფლებასა და საზოგადოებაშიც. ხელისუფლებაში მყოფთა „ორჭოფობა“ გადაწყვეტილებათა მიღებაში.

ამუშავდა „კოჰაბიტაციის“ ვირუსი – დაუსჯელი დამნაშავენი ღიად გამოვიდნენ „მზეზე“ და პირდაპირ დაუწყეს გინება ივანიშვილს და „ქართულ ოცნებას“, დაიწყეს მისი საყოველთაო დისკრედიტაცია „რუსთავი-2“-ზე და არა მარტო იქ...

როგორც ვთქვი, „ტელევიზიები „ტროას ცხენებად“ იქცნენ – ყველა არხი მიმართა „ხელისუფლების“ წინააღმდეგ, რომ სახელმწიფო შიგნიდან აეფეთქონ...

დაუსჯელობის სინდრომი და გამოხატვის თავისუფლება არასამთავრობოთა და მესამე სექტორის ხელში საშიშ ვირუსად იქცა და საზოგადოების სრული დეზორიენტაცია და ზომბირება გამოიწვია, მოწამლა ახალი თაობის ფსიქიკა.

●

ზოგადად, მეტად საგულისხმო მოვლენაა პიროვნებათა დაბრუნება და „მეორედ მოსვლა“. ბრძენი, ქარიზმული პიროვნებები ხშირად ბრუნდებოდნენ პოლიტიკაში, მართალი, სამართლის მქმნელი, მოწყალებით და სიუხვით გამორჩეული, ქველი და გულოვანი მოღვაწე ყოველთვის უნდა ბრუნდებოდეს.

– წასული იყო და დაბრუნდა ჩერჩილი თავის დროზე;

წასული იყო და დაბრუნდა დე გოლი;

– ნაპოლეონი დაბრუნდა 100 დღით...

– წასული დენ სიაო პინი არ დაბრუნებულა, მაგრამ იქიდან მართავდა მილიარდიან ჩინეთის იმპერიას, სადაც იყო, ანუ ჩრდილში იდგა;

– წასული იყო ბიძინა ივანიშვილი და დაბრუნდა!

მას მაშინაც (იქიდანაც) და ახლაც, ისევე შეუძლია გავლენის მოხდენა ჩვენს „პოლიტიკურ დინებათა მოქცევაზე“, როგორც მთვარის ველს – დედამიწაზე.

მაგრამ ლიბერასტ ფარისევლებს არ უნდათ „გამოჩინებული“ ღირსეული კაცის დაბრუნება, რუსთველიც რომ იყოს, არ უნდათ ლიდერი, რომელსაც ექნება მკვეთრი გავლენა საზოგადოებაზე...

მათ არ აწყობთ პიროვნება, რომელსაც შეუძლია ვითარების შეცვლა – არ არის ლიბერასტული სამყაროსთვის მისაღები ასეთი ლიდერი. მათ ურჩევნიათ, არაფერში „არაფრებად“ ყოფნა, ანუ ბელადმკვდარ „ერთიანი ბაყაყების ჭაობში“ ცხოვრება.

არ ჩანს ჩვენს ქვეყანაში, ჩვენს საზოგადოებაში უფრო ქარიზმული ადამიანი, რომელსაც შეუძლია რაიმეს გადარჩენა, ან შეცვლა, ივანიშვილის გარდა...

ჩვენ ვხედავთ, რამდენად ძნელია „უპიროვნო“ მსოფლიოში ქვეყნის (სახელმწიფოს) გადარჩენა. ხომ ვხედავთ, როგორ ინგრევა და იღუპება სახელმწიფოები და ერები ჩვენს თვალწინ.

ჩვენც ამ ბედისწერის (განსაცდელის) ზღურბლთან ვდგავართ და მაინც არ გვინდა, გვყავდეს კაცი ქვეყანაში, რომელსაც რაღაც შეუძლია, შალიკოებისა და მელიებისგან განსხვავებით,

●

ჩვენ ოკუპირებულ, დანგრეულ ქვეყანაში ვცხოვრობთ, გარიყული კიდობნის მგზავრებივით, რომელიც გადასარჩენია, მაგრამ მისი გადარჩენა არ არის ადვილი.

არ არის ადვილი, მით უფრო, რომ შინაურ მოღალატეებსაც კი შეუძლიათ მისი გაცვლა და გაყიდვა, ერთ გრანტზე შეუძლიათ დასმენა და ღალატი...

●

ვინ უნდა გააღვიძოს ჩაძინებული გემის ეკიპაჟი, ვინ უნდა აყაროს მუქთამჭამელნი, ცოცხალ-მკვდარნი, ორჭოფი ფარისეველნი და გააძევოს გემბანიდან.

ეს მხოლოდ და მხოლოდ ივანიშვილმა უნდა შეძლოს და ვფიქრობ, შეძლებს!

მას შეუძლია შექმნას მოქმედების სხვა (მოულოდნელი) სისტემა და გრაფიკი!.. თუ ასე არ მოხდა, ეს „გიენები“ თვითონ შეჭამენ მას

●

დაბრუნება ერთია, მაგრამ მთავარია, დაბრუნებულს ვინ დახვდება ჩავლილი მდინარიდან – იგივე ხალხი თუ ახალი ადამიანები შეცვლილი ფსიქიკით?

ვის დაეყრდნობა ის?! შექმნის მხარდამჭერთა ახალ კრებულს, ძველი და ახალი თაობის სინთეზურ ძალას?!

შეძლებს ერის სივრციდან ახალი სახეებისა და პერსონაჟების გამოხმობას გაბედულად, თუ კვლავაც ახალი „მარგველაშვილები“ შემოუძვრებიან?!

ვინ იქნება მისი მრჩეველთა და რჩეულთა, ანუ კითხულ კაცთა „დარბაზი“? ეს არის მთავარი ელემენტი შემდგომი პროცესისთვის...

●

ჩემთვის სრულიად გასაგებია ივანიშვილის დაბრუნებით გამოწვეული ეიფორია და განგაში ნაცებში და სხვა ოპოზიციურ ბანაკში: ზიზღი, დორბლი, ჭორი და წივილ-კივილი... გამოეცალათ „არაფორმალური“ მმართველობის ერთადერთი მიზეზი...

გამოეცალათ მისი არდაბრუნების იმედიც...

ეტყობა, ბევრი რამ ჯერ კიდევ ღმერთის ნებაა!..

●

უნდა ითქვას, რომ ივანიშვილის „არყოფნამ“ ბევრი რამ გააუფერულა ქართულ პოლიტიკაში.

არ იქნება რეფორმა საკმარისი მხოლოდ პარტიაში და ხელისუფლებაში, მთელ ქვეყანაში, მის ყველა რგოლსა და სფეროში უნდა დაიწყოს რეფორმის ახალი ფაზა, „საგანთა და მოვლენათა“ მკვეთრი გადაადგილება. ერის ეთნო-კულტურული, ეკონომიკური და ფსიქოლოგიური სივრცის განახლება...

უნდა დაიგეგმოს „ზნეობრივი რევოლუცია“ რომელიც ერს შეაბრუნებს ისტორიული ცნობიერების წიაღში, ამას ელოდება ჯანსაღი საზოგადოება და ინტელიგენცია, რომელსაც ჯერ კიდევ შეუძლია ივანიშვილის გვერდზე დგომა...

დაბოლოს, წერტილი უნდა დაესვას ლიბერასტების ლეგეტობას: „... მოსვლით არაფერი შეიცვლება...“, „ეს იქნება ბრეჟნევის დრო“, „ხალხის გასულელება, ტყუილების რეფორმა“, მხედრიონელი ფაშისტების და ნაცისტების ეს დემაგოგია უნდა გაქარწყლდეს...

ბიძინა ივანიშვილი იმიტომ დაბრუნდა, რომ „კრებსითი საკაშვილები“ ვეღარასოდეს დაბრუნდნენ ერზე შურისძიებისთვის.

„საერთო გაზეთი“
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, აღმაშენებლის 164;
ტელ.: 2 34 28 97;
E-mail: saertogazeti@yahoo.com
რეგისტ. №202375349; უაკ (udc) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში; თბილისი, აგლაძის 39

® ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

ნიკუშა შენგელაია:

ბიძინა ივანიშვილმა ეს ნაბიჯი სამშობლოს სიყვარულისა და ხალხის კეთილდღეობისთვის გადადგა

„საერთო გაზეთის“ სტუმარია მხატვარი ნიკუშა შენგელაია:

— ბატონო ნიკუშა, პრემიერ-მინისტრმა ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში დაბრუნებაზე განცხადება გააკეთა. როგორ შეაფასებთ ამ ნაბიჯს?

— რა თქმა უნდა, დადებითად. საერთოდ, ამ განცხადებას, საზოგადოების მხრიდან, ძალიან დადებითი რეაქცია მოჰყვა. კარგად მესმოდა თუ რატომ უნდოდა ივანიშვილს პოლიტიკიდან გასვლა და გულწრფელად ცდილობდა საქმე ახალგაზრდებისთვის გადაებარებინა, თუმცა, ეს, მაინც არ მოხერხდა. იმიტომ, რომ ვფიქრობ, ახლა, მისი ხელია საჭიროა, რათა საქმე ბოლომდე მივიდეს. ალბათ, მისი დაბრუნების განმაპირობებელი ბევრი ფაქტორი არსებობდა. მე, პარტიულ ცხოვრებაში არ ვერევი, არ ვიცი კულუარებში რა ხდება, მაგრამ ზოგადად, როგორც ჩანდა, პარტიაში განხეთქილებაც იყო, ადამიანები საკუთარი გუნდების შექმნას ცდილობდნენ და ა.შ. გარდა ამისა, ძალიან რთულია, როცა ადამიანს

პოლიტიკიდან წასვლას არ გაცლიან — არაფორმალური მმართველობა ყბადაღებულ თემად იქცა. ისეთი წესიერი და მორალური ადამიანისთვის როგორიც ბიძინა ივანიშვილია პოლიტიკის სფეროში ყოფნა ძალიან ძნელია, მაგრამ მან, ისევ და ისევ სამშობლოს სიყვარულისა და ხალხის კეთილდღეობისთვის ეს ნაბიჯი გადადგა, რათა ქვეყანა პოლიტიკური, პარტიული სირთულეების საჯიჯგნი არ გამხდარიყო. ვიმეორებ, ეს ძალიან დადებითი მოვლენაა. ზოგადად, საქართველოში საკადრო საკითხი მოსაგვარებელია, მოსაძებელია ადამიანები, რომლებიც განათლებით, კომპეტენციით, პროფესიონალიზმით, თავიანთი ბიოგრაფიით და წესიერებით თანამდებობრივ ნიშებს შეავსებენ. ვფიქრობ, ეს კიდევ ერთი მიზეზია იმისა, რატომაც ბატონი ბიძინა პოლიტიკაში დაბრუნდა. იგი ძალიან კარგად და ზუსტად გრძნობს რა მომენტში სჭირდება საკუთარ ხალხსა და ქვეყანას. ივანიშვილმა წასვლისას თქვა: ჩემი პოლიტიკაში დაბრუნება მეორედ მოსვლა იქნებაო. ეს, რა თქმა უნდა, გადატანითი მნიშვნელობით ითქვა ანუ, იგულისხმებოდა — როცა საჭიროებას დავინახავ მაშინ დავბრუნდებიო. ახლა, მართლაც საჭიროა მისი თვალი, ყური. მიუხედავად იმისა, რომ საკუთარ გუნდს მიენდო, ქვეყნის წინაშე აღებული პასუხისმგებლობისთვის თავი არასდროს აურიდებია. ივანიშვილისადმი ხალხს უფრო დიდი ნდობა აქვს ვიდრე პოლიტიკური პარტიების თუ სხვა სუბიექტებისადმი. რაც მოსაწესრიგებელია უნდა მოწესრიგდეს, ასე ქვეყანაც წინ წაიწევს და იმედია, პოლიტიკურ არენაზე უკეთესი კადრები გაჩნდება.

— როგორ ფიქრობთ, პირველ რიგში, რა უნდა გაკეთდეს ხალხის ნდობის დასაბრუნებლად?

— ხალხმა უნდა დაინახოს, რომ მთავრობა მაქსიმალურად ეფექტურად მუშაობს. არ მინდა ვთქვა, რომ არ მუშაობდნენ, ძალიან ბევრი რამ გაკეთდა, მაგრამ იყო რიგი საკითხები მით უმეტეს, პარტიულ და საპარლამენტო ცხოვრებაში, რაც ჩარევას და გამოსწორებას საჭიროებს. ვფიქრობ, ეს ბუნებრივი პროცესია. „ქართული ოცნება“ ძალიან ეკლექტური ძალაა. ფაქტობრივად, იგი, „ნაცმოძრაობის“, სააკაშვილის გასაშვებად ჩამოყალიბდა. პარტიის მთავარი ფიგურა ყოველთვის ბიძინა ივანიშვილი იყო. აზრთა სხვადასხვაობა, გაუგებრობა მოსალოდნელი იყო, ეს პრობლემა არ არის. კომუნიკაცია უფრო ეფექტური რომ იყოს, ამისთვისაც ივანიშვილის დაბრუნება დროული და კარგი ნაბიჯია.

— ბატონო ნიკუშა, 2012 წელს ვინც გამარჯვებისას „ქართულ ოცნებას“, ბიძინა ივანიშვილს გვერდით ედგა, განზე დარჩა. მათი „შემობრუნების“ დრო ხომ არ მოვიდა?

— იცით რა, ადამიანის წარსულს, მის ბიოგრაფიას ყოველთვის პატივი უნდა სცე, თუ როგორ იმოქმედა, რა დროს რა გააკეთა. თუ აქტიური ხარ და პოტენციალი გაქვს საკუთარ ქვეყანას დადებითი შესძინო, ამის კეთებას არავინ გიშლის. გუნდი უნდა შეიკრას, ერთმანეთში პატივისცემა იყოს, რა თქმა უნდა, ივანიშვილი ამის გაკეთებას შესძლებს. მას ძალიან დიდი ავტორიტეტი აქვს, პატივისცემით სარგებლობს. საჭირო დროს მოვიდა იმ მხრივაც, რომ საზოგადოებაში ცოტა გაურკვევლობა იყო თანაც საპრეზიდენტო არჩევნებიც ახლოვდება.

— როგორ ფიქრობთ, ივანიშვილი საპრეზიდენტო არჩევნებში კენჭს იყრის?

— არ მგონია იმიტომ, რომ პარტია პოლიტიკური ამინდის, კადრების სამჭედლოა. დღევანდელ პრეზიდენტს ქვეყნის შიდა პოლიტიკაში ჩარევის ნაკლები რესურსი აქვს, ვიდრე პრემიერ-მინისტრს, პარტიის თავმჯდომარეს, პარლამენტს და ა.შ. ჩვენი ქვეყანა მაინც საპარლამენტო რესპუბლიკისკენ იხრება.

— როგორც ვახსენეთ, ივანიშვილი დაბრუნდა, რათა შიდა დაპირისპირებები მოისპოს და „ქართული ოცნების“ გუნდი კვლავ გაერთიანდეს, მაგრამ ასევე, დაბრუნდა თუ არა იმისთვის, რომ ქვეყანა კრიზისიდან გამოიყვანოს. როგორ ფიქრობთ, ქვეყნის განვითარებაში რა წვლილს შეიტანს მისი პოლიტიკაში დაბრუნება?

— ამას დრო გვიჩვენებს, ყოველ შემთხვევაში, არსებობს რწმენა, რომ მოვლენები დადებითად განვითარდება. არ მგონია ქვეყანა ძალიან კრიზისულ მდგომარეობაში იყოს გამომდინარე რეალობიდან თუ სად ვიმყოფებით, როგორი ეკონომიკა გვაქვს. ქვეყანა ვითარდება, მადლობა ღმერთს რომ მშვიდობა გვაქვს და ამას ვინარჩუნებთ, ეკონომიკაც ვითარდება, მაგრამ უფრო ეფექტური მუშაობაა საჭირო, თუნდაც უმუშევრობის დაძლევის კუთხით. ეს ქვეყნისთვის ყველაზე დიდი პრობლემაა, ძალიან ბევრი მოქალაქე უმუშევარია. სოციალურ თემებს უნდა მოევლოს. სხვა მხრივ თუ დავაკვირდებით, რა ხდება ჩვენს რეგიონში და გარშემოც, ვთვლი, რომ ხელისუფლებას სიტუაცია კიდევ კარგად უჭირავს.

— რა შეცდომებია დაშვებული და რა არის ის პრიორიტეტი, რაც ქვეყნის განვითარებისთვის უნდა გაკეთდეს?

— უფრო მეტი ძალისხმევა განათლებას სჭირდება. მიუხედავად იმისა, რომ ეს მთავრობისთვის უფრო პრიორიტეტული სფერო გახდა, მაინც მეტია საჭირო. პლუს სასურველია საკვანძო ადგილებზე უფრო პასუხისმგებლიანი და კომპეტენტური კადრები შეირჩეს, რაც ქვეყნის განვითარებაზე სასიკეთოდ იმოქმედებს. ეს იოლი პრობლემა არ არის, ამ მხრივ, სერიოზული სამუშაოა ჩასატარებელი.

— „ჯი-დი-ეს“-ისთვის მიცემულ ინტერვიუში ბატონმა ბიძინამ აღნიშნა, რომ ნაციონალების თემას წერტილს დაუსმევს. ამაში რა იგულისხმებოდა?

— თაკო, თუ გახსოვს, შენთან ინტერვიუში არაერთხელ მითქვამს: 2012 წლიდან მოყოლებული „ნაცმოძრაობა“ დამთავრდა, ეს თემა დღის წესრიგიდან უნდა ამოვიდეს. საერთოდ, არ უნდა გავაზვიადოთ ის, რაც არანაირ ღირებულებას არ წარმოადგენს. ივანიშვილმა, თავისი გამონათქვამით, ალბათ, ეს შეახსენა საზოგადოებას. ყოველთვის ამ პოზიციაზე ვიყავი — მათ უტიფარ შენიშვნებს, არაარგუმენტირებულ კრიტიკას ყურადღება არ უნდა მიაქციო, ვითომ არც არიან. ჩვენი ყველაზე საუკეთესო მაჩვენებელი კარგად გაკეთებული საქმეები იქნება, ესაა ყველაზე დიდი პოლიტიკური დაცვა. ამიტომ, 2012 წლიდან „ნაცმოძრაობაზე“ არ ვსაუბრობ, ვთვლი, რომ პასუხის გაცემის და ყურადღების ღირსიც არ არიან.

— „ქართულ ოცნებაში“ ხომ არ არიან ძალები, რომლებიც ცდილობენ პარტია მაგისტრალური ხაზიდან გადაიყვანონ, ეს რამდენად საფრთხილოა?

— გარწმუნებ, ვერავინ ვერაფერს აურევს. სამწუხაროდ ისე ხდება, რომ საზოგადოებაში არსებობს ხალხი, რომლებიც თავიანთი კარიერის, კეთილდღეობის გამო ყველაფრის მკადრებელია. სწორედ ასეთი ადამიანების დიდ ნაწილი ხვდება პოლიტიკაში, პარტიებში და მერე თავიანთი მოკლე ტვინით მსგავს მოძრაობებს იწყებენ, მაგრამ ეს არ გაუვათ არც ბიძინა ივანიშვილთან, არც ქართულ საზოგადოებასთან. ისინი კარგად უნდა დაფიქრდნენ, თუ ამის ტვინი აქვთ.

— რა შეიცვლება ხალხისთვის ბიძინა ივანიშვილის დაბრუნებით, თუნდაც აღდგება თუ არა დაპირებული სამართლიანობა?

— ეს ერთ-ერთი რთული პრობლემაა. მცდელობა გვაქვს სამართლებრივი ქვეყანა გავხდეთ. ამიტომ, არგუმენტებზე დაყრდნობით რაც შეიძლება მეტი საქმე უნდა გადაწყდეს იმ ხალხის სასარგებლოთ, რომლებიც „ნაცმოძრაობის“ დროს მართლა დაიჩაგრნენ და სამართლიანობის აღდგენას ითხოვენ. ასეთი ხალხი ბევრია, მე მათ გვერდით ვდგავარ იმიტომ, რომ ძალიან ძნელია როცა შენი შრომით შეკოწიწებულს ვიღაც გინგრევს და ამ კუთხით, სამართალს დღემდე არ უზეიმია. ამ საკითხს უფრო აქტიურად უნდა მიხედოს სასამართლომაც, პროკურატურამაც, ძალოვნებმაც იმიტომ, რომ ამ ადამიანების თავზე ბევრმა რამემ გადაიარა. ბევრი მათგანისთვის გაუგებარია, საიდან ჩნდებიან „ნაციონალებთან“ ასოცირებული ადამიანები თანამდებობებზე, პარლამენტში და ა.შ. ვიცით, რომ ბევრი მათგანი, რომელიც მაშინ კურდღელივით იჯდა, დღეს, თავაწეული დადის, თითქოს, რამეს წარმოადგენდეს იმიტომ, რომ მათ „ქართულმა ოცნებამ“ სხვადასხვა თანამდებობების დასაკავებლად კარები გაუხსნა. ის ადამიანი არ ვარ, რომ ყველა დავადანაშაულო. ადამიანებმა, ფაქტობრივად, რვა წელი უზნეობის წინააღმდეგ ბრძოლაში, ქუჩაში გაატარეს. ეს ჩვენი საზოგადოების დიდი მებრძოლი, მოაზროვნე ნაწილია. ასეთი ადამიანები ქვეყნის აღმშენებლობისთვის თუ ჩაერთვებიან, ძალიან მნიშვნელოვანი იქნება. საერთოდ, დროა, დიდი გაგებით, გუნდი საზოგადოებრივ პოლიტიკაზე გადავიდეს, უფრო სერიოზული საჭადრაკო პარტია დაიწყოს, რასაც თავის თავში დემოკრატია მოიცავს, საზოგადოებას საკუთარი ქვეყნის აღმშენებლობაში ჩართულობის გრძნობა უნდა გაუჩნდს. ეს საჭადრაკო პარტია ძალიან დიდია, რაც არ არის მხოლოდ სამთავრობო ინსტიტუტებზე და პარტიებზე ორიენტირებული საკითხი. ეს თემა ფართოდ უნდა გაიშალოს იმიტომ, რომ ყველაზე დიდი ძალა საზოგადოებრივი მხარდაჭერაა. ამაზე დიდი ძალა პოლიტიკაში, არცერთ დემოკრატიულ ქვეყანაში, არ არსებობს. ამიტომ, ამ მიმართულებითაც, ბევრი სამუშაოა.

— პოლიტ.საბჭოს სხდომაზე ბიძინა ივანიშვილმა „ქართული ოცნების“ ახალგაზრდული ფრთის ერთ-ერთ წარმომადგენელს ჰკითხა: საიდან მოხვედით თქვენ „ქართულ ოცნებაშიო?

— (იცინის) მოუკლია კაცი. არ ვიცი ეს პიროვნებები საიდან მოდიან, რით ცხოვრობენ. ჩემი ტიპის ხელოვანი ადამიანები სხვა რამით ცხოვრობენ, ისინი — სხვა რამით. მართლაც არ ვიცი საიდან მოდიან, საით მიდიან, მაგრამ სანამ არიან უნდა ეცადონ ქვეყანას დადებითი შესძინონ თუ ამის კომპეტენცია აქვთ, მაგრამ თუ მარტო საკუთარ კარიერაზე და კეთილდღეობაზე ფიქრობენ, ეს მათ არ გამოუვათ. არჩევანი უნდა გააკეთონ. თუმცა, ისტორიამ გვიჩვენა: ძალიან ბევრი ხალხი ვიცით, რომლებიც რამდენიმე ხელისუფლებაში იყვნენ, აქეთ-იქით დახტოდნენ პარტიიდან პარტიაში. საზოგადოება მათ ყველას იცნობს, ასე რომ არ გაუვათ ეს ამბავი.

ბოლოს, დასკვნის სახით მინდა ვთქვა: რაც მთავარია საზოგადოება მზად არის ბიძინა ივანიშვილს ყოველთვის გვერდში დაუდგეს იმიტომ, რომ მან პირადად, ყოველგვარი პოლიტიკისა და პარტიის გარეშე, ნებისმიერ სფეროში, თავის ქვეყანას უდიდესი სიკეთეEგაუკეთა. ამიტომ, აქვთ ადამიანებს მისი რწმენა, პატივისცემა. ივანიშვილის ყველაზე დიდი მხარდამჭერი პარტია ან რამე სხვა კი არა, არამედ ქართველი ხალხი და საზოგადოებაა.

თამარ შველიძე
555 23 28 24

ეს ის შემთხვევაა, როცა გულწრფელად მიხარია, რომ ჩემი პროგნოზი არ გამართლდა და ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკაში დაბრუნდა

გვესაუბრება პოლიტოლოგი, ფსიქოლოგი რამაზ საყვარელიძე:

— ბატონო რამაზ, „საერთო გაზეთის“ წინა ნომერში მოცემულ ინტერვიუში „ქართულ ოცნებაში“ არსებულ კრიზისზე ვისაუბრეთ. ასევე, გკითხეთ ივანიშვილის პოლიტიკაში შესაძლო დაბრუნებაზე, თქვენ კი მიპასუხეთ, რომ ეს უფრო მითოლოგიის სფეროს მიეკუთვნება, ვიდრე სინამდვილეს. ამ ინტერვიუს გამოქვეყნებიდან მეორე დღეს კვირიკაშვილმა ივანიშვილის პოლიტიკაში დაბრუნებასთან დაკავშირებით განცხადება გააკეთა. როგორია თქვენი შეფასება?

— ეს ის შემთხვევაა, როცა გულწრფელად მიხარია, რომ ჩემი პროგნოზი არ გამართლდა და ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკაში დაბრუნდა. დიახ, წინა ინტერვიუში მართლაც აღვნიშნე, რომ ივანიშვილის დაბრუნება მითოლოგიის სფეროა. სიმართლე გითხრათ, მისი პოლიტიკაში დაბრუნება ჩემთვის, ნამდვილად, მოულოდნელი იყო. ბატონი ბიძინას დაბრუნებას არ ველოდი იმდენად რამდენადაც მან არაერთხელ თქვა, რომ პოლიტიკაში მისი დაბრუნება მეორედ მოსვლის ტოლფასი იქნებოდა. როგორც ჩანს, „ქართული ოცნების“ გუნდმა მის წინაშე დაპირებული ამოცანები ვერ შეასრულა. ამ ჯგუფმა ვერ მოახერხა საკუთარ თავში რესურსი მოეძებნა, რათა გარედან, ამ შემთხვევაში, ივანიშვილისგან დახმარება არ დასჭირვებოდა. ივანიშვილის გამოჩენის ძირითადი მიზანი ის არის, რომ თავისი პირშო — „ქართული ოცნება“ შეინარჩუნოს და შედარებით ნაკლები რყევებით მიიყვანოს შემდეგ საფეხურამდე — ეს იქნება საპრეზიდენტო თუ სამომავლოდ საპარლამენტო არჩევნები.

— დაპირისპირება, რაც ბოლო ხანებში „ქართული ოცნების“ ორ ბანაკს შორის მიმდინარეობს განა იმ სირთულის პრობლემაა, რომ ეს ბატონი ბიძინას პოლიტიკაში დაბრუნების მიზეზი გამხდარიყო თუ მართლა მეორედ მოსვლაა?

— როგორც ჩანს პრობლემა სერიოზულია. ზედაპირზე ნინია კაკაბაძესთან დაკავშირებული ინციდენტი ჩანდა, მაგრამ ჩვენ ხომ კარგად არ ვიცით შიდა საშხარეულო, რომელიც სავარაუდოდ უფრო მძიმე სურათს ხატავს. ბიძინა ივანიშვილმა ამ დღეებში ინტერვიუ ტელეკომპანია „ჯი-დი-ეს“ მისცა, სადაც განაცხადა: რასაც მოსახლეობა ოთხი წლის მანძილზე ელოდა ყველაფერი დარეგულირდებაო. ამ ყველაფერში მან იგულისხმა „ნაცმოძრაობის“ თემა და კიდეც აღნიშნა, რომ ამ პარტიის საკითხი ქართული პოლიტიკის დღის წესრიგიდან მოიხსნებაო.

— რადგან დაბრუნდა, მისი კვლავ დაბრუნების ერთ-ერთი მთავარი მიზანი, ალბათ, ხალხის ნდობის დაბრუნებაცაა.

— რა თქმა უნდა, გეთანხმებით. ერთ-ერთი და რთული ამოცანა, ალბათ, ხალხის ნდობის დაბრუნებაა, რაც აუცილებელია იმისათვის, რომ დაიძლიოს ის სირთულეები, რამაც ივანიშვილის შემოტრიალება განაპირობა.

— 2012 წელს „ქართულ ოცნებასთან“ ერთასდ იბრძოდა ხალხი, რომლებიც მთლი ამ წლების მანძილზე არავის გახსენებია...

— დიახ, ვფიქრობ, ერთ-ერთი მთავარი ამოცანა ამ ხარვეზის გამოსწორება იქნება იმიტომ, რომ გარკვეული კუთხით ანალოგიური პრეტენზია ნინია კაკაბაძის ინციდენტში გაჟღერდა. ამ შემთხვევაში ლაპარაკი იყო მხოლოდ საპარლამენტო გუნდზე, რომელიც „ქართულ ოცნებას“ თავიდანვე გვერდით ედგა. გახსოვთ, ითქვა, რომ „ქართული ოცნების“ ძველი შემადგენლობა ხმის უფლების გარეშე დარჩა და სიტუაციას ის ახალგაზრდები წარმართავენ, რომელთაც ამ ბრძოლაში მონაწილეობა არ მიუღიათ. ასე, რომ ფაქტობრივად, „ქართული ოცნების“ გუნდის შიგნით დატრიალდა ის საყვედური, რასაც ახლა, თქვენ მთელი საზოგადოების მასშტაბით მეკითხებით.

— წელან ახსენეთ, ივანიშვილი როგორც აღნიშნა, „ნაცების“ საკითხს დღის წესრიგიდან მოხსნისო. ეს ხომ არ ნიშნავს, რომ ყბადაღებული კოაბიტაცია დასრულდება?

— ასეთი პროგნოზის გაკეთება მიჭირს იმიტომ, რომ ანალოგიური ფრაზეოლოგია ადრეც მოგვისმენია და ამ მხრივ, იმედგაცრუება იყო. ივანიშვილმა ისევე როგორც ადრე, შეიძლება, ვერც ახლა მოახერხოს კოაბიტაციის რეჟიმიდან თავის დაღწევა. პროგნოზს მოვერიდები, მაგრამ ის, რომ ივანიშვილის წინაშე ეს საკითხი დადგა, მგონი ცხადია. ამოცანა დგას და როგორ მოახერხებს იგი მის გადაწყვეტას, ცხოვრება გვიჩვენებს.

— ახლა ივანიშვილის პოლიტიკაში დაბრუნების შესაძლო მიზეზებზე ვისაუბრეთ, მაგრამ მოდით ისიც ვთქვათ რას წაადგება მისი მოსვლა, იგივე, რა გადალაგებების მომსწრე შეიძლება გავხდეთ?

— ალბათ ერთ-ერთი მიმართულება პარტიის შიგნით წესრიგის გაძლიერება უნდა იყოს იმ მიმართულებით, რამაც ამ დღეებში გაიჟღერა. ისევ ნინია კაკაბაძის თემას რომ დავუბრუნდეთ, გაისმა საყვედურები: მოსახლეობას სამართლიანობის აღდგენას დაპირდით და ასევე, „ქართული ოცნების“ მხრიდან „ნაცების“ მიმართ უფრო ფხიზელი დამოკიდებულება უნდა ყოფილიყო, რაც არ ხდებაო. აი, რას საყვედურობს პარტიის ერთი გუნდი მეორეს. სავარაუდოდ, ამ ყველაფერზე განახლებულ „ქართულ ოცნებას“ პასუხი ექნება.

— კოჰაბიტაცია ჩვენ არ მოგვიგონია, ეს ფაქტია. როგორ შეხვდება „ნაცებთან“ „ფხიზელ დამოკიდებულებას“ დასავლეთი?

— არ მგონია დასავლეთის თემა, ამჟამად, გადამწყვეტი იყოს. მაშინ, როცა დასავლეთი კოაბიტაციას ბეჯითად ითხოვდა, შესაბამისი ინფორმაცია მათ საქართველოდან მიეწოდებოდათ. ამ ინფორმაციებზე დაყრდნობით დასავლეთს მიაჩნდა, რომ „ქართული ოცნება“ შურისძიების გამო დგამდა იმ ნაბიჯებს, რასაც დგამდა. ეს მოახერხა „ნაცმოძრაობამ“, რომ სამართლიანობის აღდგენის სურათი უცხოელებისთვის შურისძიების სურათად გაესაღებინათ. აღსანიშნავია, რომ დასავლეთის მეთაურებს ზუსტად ამავე დროს არ უკვირდათ, როცა საფრანგეთის პრეზიდენტზე საქმე იღძვრებოდა, ისრაელის პრეზიდენტთან დაკავშირებითაც ანალოგიური სიტუაცია იყო და ა.შ. მაგრამ ხსენებულ შემთხვევებში დასავლეთს მიაჩნდა, რომ დანაშაული რეალურად ჩადენილია და ეს პროცესები მას სამართლიანი სასამართლოს ნიშნულით ჰქონდა აღქმული. ვფიქრობ, განვლილმა პერიოდმა და განსაკუთრებით, უკრაინის მაგალითმა დასავლეთს სააკაშვილის განცხადებების მიმართ ნდობა გაუქნელა. ამდენად, არ მგონია დღეს დასავლეთმა კოჰაბიტაციის მოთხოვნა გაიმეოროს, რადგან ახლა, უკვე, შეიძლება ამ პროცესებში იგივე დაინახოს, რაც ბევრ სხვა ქვეყანაში ხდება. ვიმეორებ, ყოფილი თანამდებობის პირების სასამართლო პროცესი დღეს არავის უკვირს. ამ ფონზე მეჩვენება, რომ უფრო რეალისტურია საკითხის ასე დაყენება — ქართული მოსახლეობისთვის მიცემული პირობა სამართლიანობის აღდგენაზე შეიძლება ახლა, უფრო ადვილი შესასრულებელი იყოს, ვიდრე ადრე.

— რაც შეეხება საპრეზიდენტო არჩევნებს. ბატონი ბიძინა პრეზიდენტობისთვის ხომ არ ემზადება?

— არა მგონია კენჭი პრეზიდენტობაზე იყაროს. თუმცა, ამის თქმა უკვე სახიფათოა, ყველაფერი შეიძლება მოხდეს. თუმცა, ივანიშვილს შეეძლო თუ პრეზიდენტობა სურდა, მარათონში პარტიის თავმჯდომარეობის გარეშეც ჩაბმულიყო. იურიდიულად ამას ხელს არაფერი უშლიდა. რადგან ეს ნაბიჯი არ გადადგა, ე.ი. მის ინტერესში საპრეზიდენტო მარათონში ჩაბმა არ არის. მას უნდა მის მიერ შექმნილი პარტია სისცოცხლისუნარიანი იყოს, ეს არგუმენტი უფრო დამაჯერებელია.

ქვეყნის კრიზისი კიდევ ცალკე საკითხია. მან პოლიტიკაში პირველად მოსვლისას თქვა, რომ ოთხ წელიწადში კარგად ვიცხოვრებდით. ეს არ იყო პარტიის ბედ-იღბალთან დაკავშირებული დაპირება. ეს დაპირება მაშინ ცოტა გამიკვირდა იმიტომ, რომ ერთ ან ორ წელიწადში ეკონომიკა არ იცვლება-ხოლმე. მაგრამ ივანიშვილი, ალბათ, გააცნობიერებს, რომ ასეთი ცვლილების გარეშე ანუ, ეკონომიკური სიტუაციის ცვლილების გარეშე, მხოლოდ შიდა პარტიული პროცესების შეცვლით, საზოგადოებაში კმაყოფილება დიდად არ იქნება.

— თქვენი აზრით, რა იქნება მომდევნო ოთხი წლის მერე, როგორი საქართველო გვექნება?

— რთული შეკითხვაა, ნამდვილად არ ვიცი როგორი საქართველო გვექნება, მაგრამ მეორე მხრივ, შეიძლება ივანიშვილმა ამგვარი დაპირებები იმის ხარჯზე გასცა, რომ რაღაც პროცესები საქართველოში ისედაც დაწყებულია, ვგულისხმობ, ინვესტიციებს, ეკონომიკურ პროცესებს. მაგალითად, ჩინეთი აპირებს ინვესტიციები ჩადოს ელექტრო-მობილების მშენებლობაში, ანუ, საქართველოში ელექტრომობილების მშენებლობა დაიწყოს. მოგეხსენებათ, ეს საკმაოდ დიდი სტიმულია ეკონომიკის წამოწევისა და მოსახლეობის კეთილდღეობის მისაღწევად. შესაბამისად, ივანიშვილმა, ალბათ, იცის, რომ ამ მხრივ რაღაც პერსპექტივა — უცხოელებიდან სერიოზული ინვესტიციების შემოსვლის თვალსაზრისით, იგეგმება და ამ გეგმების იმედით დგამს იმ ნაბიჯს, რომ პოლიტიკურ სივრცეს დაუახლოვდეს.

— ოპოზიციისგან ხშირად გვესმის არაფორმალური მმართველობა. ახლა, ივანიშვილი კვლავ ღიად შემოდის მმართველობაში. რა იცვლება ამით?

— „ქართული ოცნების“ წევრები აქამდე გამუდმებით იმეორებდნენ, რომ ბატონი ბიძინა პოლიტიკაში და ჩვენს გადაწყვეტილებებში არ ერევაო. ახლა, ივანიშვილი ღიად მისცემს ინტერვიუს და პირველი პირიდან გავიგებთ ამა თუ იმ გადაწყვეტილების მიღმა რა მზადდება. აი ეს იცვლება.

— ბატონო რამაზ, წინა ნომერში გამოქვეყნებულ ინტერვიუში ასეთი რამ განაცხადეთ: ივანიშვილს თუ გაკოჭავენ, ხელებს გადაუგრეხენ, თორემ ისე პოლიტიკაში არ მოვაო. რა მოხდა მართლაც გაკოჭეს?

— (იცინის) არმგონია რომ გაკოჭეს იმიტომ, რომ იგი ყოველთვის იმას აკეთებს, რასაც თავად დაისახავს მიზნად. ადრეც კოჭავდნენ, როცა პოლიტიკიდან წასვლას აპირებდა, მაგრამ მან თავისი არ დაიშალა და წავიდა. ასე, რომ გაკოჭვის გამო კი არ დაბრუნდა, არამედ თვითონ გადაწყვიტა, რომ ქვეყნის გადაჩეხვისგან გადარჩენის, მისი შემობრუნების დრო იყო და ამიტომ დაბრუნდა.

თამარ შველიძე
555 23 28 24

მანანა ნიკოლაიშვილი:

არ არსებობს ქვეყანა, სადაც ზოგადი თუ უმაღლესი განათლების მიმართულებით, ასეთი მზაკვრული, ბოროტი, ანტიმეცნიერული და ახალგაზრდების განადგურებაზე ორიენტირებული სისტემა მოქმედებს

რატომ ვერ შეძლო „ქართულმა ოცნებამ“ განათლების სისტემაში არსებული მდგომარეობის გამოსწორება ამაზე განათლების ექსპერტი მანანა ნიკოლაიშვილი გვესაუბრა:

— განათლება დიდი პოლიტიკის ნაწილია და პოლიტიკური პარტია, რომელიც ამ მიმართულებით პროგრესულ და პოპულარულ რეფორმებს არ ატარებს, ვადაზე ადრე მიდის ხელისუფლებიდან. სააკაშვილის ხელისუფლება განათლებასა და მეცნიერებაში გატარებულმა არაპოპულარულმა და ანტიმეცნიერულმა რეფორმებმა შეიწირა. მისგან განსხვავებით, „ქართული ოცნება“ ხელისუფლებაში საუკეთესო პროგრამით მოვიდა, რომელიც პირველ რიგში, კანონმდებლობის მთლიანად შეცვლას ითვალისწინებდა, მაგრამ იმ პროგრამიდან არაფერი გაკეთებულა. რაც დღეს ხდება, კატასტროფაა! არასრულწლოვან ნარკომომხმარებელთა რიცხვი რამდენჯერმე გაიზარდა. მხოლოდ ბოლო ერთი კვირის მანძილზე ე.წ. კლუბურმა ნარკოტიკმა 15-მდე მოზარდი შეიწირა. გაზრდილია არასრულწლოვანთა მიერ ჩადენილი დანაშაულების რიცხვიც, რაც იმის დამსახურებაა, რომ 14 წლამდე ასაკის ბავშვი მთლიანად გაათავისუფლეს პასუხისმგებლობისგან.

— რა გამოდის, რომ ყოველწლიურად, 600 მილიონს უვიცობაში და კრიმინალისა თუ ნარკომიდრეკილების ჩამოყალიბებაში ვიხდით?

— თუ გავითვალისწინებთ, რომ განათლების მიღების ნაცვლად, ბავშვები ნარკოტიკებს ეჩვევიან, მოძალადეებად ყალიბდებიან და ჭრიან და ჩეხავენ ერთმანეთს, ასე გამოდის. უძვირესი კერძო სკოლები გვაქვს: ამერიკული, ბრიტანული, ევროპული, არაევროპული, აზიური და ა.შ. ზოგან სწავლა 25 000 დოლარი ღირს, ზოგან 10 000 დოლარი და არაფერი. მოდის ბავშვი სახლში და მშობელი ყველა საგანში ამზადებს, რადგან იმდენ ცოდნას ვერ აძლევენ, რომ ბავშვმა დავალება დამოუკიდებლად შეასრულოს. დედამიწაზე არ არსებობს ქვეყანა, სადაც ზოგადი თუ უმაღლესი განათლების მიმართულებით, ასეთი მზაკვრული, ბოროტი, ანტიმეცნიერული და ახალგაზრდების განადგურებაზე ორიენტირებული სისტემა მოქმედებს. სტუდენტების განათლების დონეს რომ ვხედავ, ვრწმუნდები, რომ საერთოდ არაფერი იციან. ვეკითხები სახელმწიფო თუ კერძო უმაღლესი სასწავლებლების რექტორებს – რად უნდათ ეს უვიცი ბავშვები, მარტო იმისთვის, რომ ხელფასი აიღონ?

— თავის დროზე, ვარაუდობდით, რომ უმაღლესი სასწავლებლების დაფინანსების დღეს არსებული მოდელი სწორედ ასეთ შედეგებს მოიტანდა..

— არც ვცდებოდი, თუმცა დაფინანსების გარდა, სხვა პრობლემებიცაა. ჩემი აზრით, დანაშაულია, როცა ტექნიკურ, სამედიცინო ან აგრონომიულ ფაკულტეტებზე ისტორიას, გეოგრაფიას ან ლიტერატურას გამოცდებით აბარებენ და სპეციალურ საგნებში არავითარი ცოდნა არა აქვთ. წარმოიდგინეთ, სტუდენტებს ქართველი კლასიკოსების ერთი ნაწარმოებიც კი არ აქვთ წაკითხული და ეროვნულ გამოცდებს აბარებენ. გაუგებარია, რა ტესტია, რა წყობაა და რა მოთხოვნებია, რომ უნარების გარდა, არაფრის ცოდნა არ გჭირდება და სტუდენტი ხდები. სტუდენტებმა ქართული და მათემატიკა არ იციან და ქიმიის, ბიოლოგიის და საბუნებისმეტყველო საგნების ცოდნაზეა საუბარი? რატომ გვიკვირს, რომ ამდენი უმაღლესი სასწავლებლის პირობებში, პროფესიონალი ექიმების, ინჟინრების თუ აგონომების დეფიციტი გვაქვს? რა აგრონომი გახდები თუ ფიზიკა, ქიმია და ბიოლოგია არ ჩაგიბარებია? რა ინჟინერი გახდები მარტო ისტორია-გეოგრაფიის ცოდნით?

— დანგრეული მაღაროები, ავარიული სახლები და გზები საბოლოოდ, ვიღაცის არაპროფესიონალიზმის შედეგია, თუმცა ბოლო დროს, განსაკუთრებით ბევრ კითხვას ჩვენი ექიმების პროფესიონალიზმი აჩენს..

— რაც შეეხება სამედიცინო დარგს, დღევანდელი ექიმები სანატრელი გაგვიხდებიან, როცა პროფესიაში ექიმების ახალი თაობა შევა. თქვენ ნახავთ, რომ ცოტა ხანში, უბრალო დაავადებების სამკურნალოდ თურქეთში წასვლა დაგვჭირდება. რომელ არჩევით საგანზეა საუბარი? სამედიცინოზე მინიმუმ, ხუთი საგანი უნდა ბარდებოდეს: სამი, რომელიც ყველგან ბარდება და ამასთან, ქიმია, რომელიც მედიცინის ხერხემალს წარმოადგენს და ბიოლოგია. თანამედროვე მედიცინა ფიზიკის ცოდნასაც მოითხოვს, ამიტომ მომავალმა ექიმმა ეს საგანიც უნდა იცოდეს. ფიზიკა-ქიმიას კი ვერ ისწავლი, თუ მათემატიკა კარგად არ იცი. ამასწინათ, სტუდენტთა ჯგუფს ვკითხე მეტალი ელექტრულ დენს ატარებს თუ არა და ვერ მიპასუხეს. 21-ე საუკუნეში სტუდენტს ეს რომ არ ეცოდინება, სამედიცინოს სტუდენტი გოგორდმჟავას და მარილმჟავას ფორმულას რომ ვერ დაგიწერს და ფიზიოლოგიური ხსნარი არ იცის რაა, ის რა ექიმი უნდა დადგეს? ათასობით სტუდენტში თითო-ოროლა წარმატებულ და შრომისმოყვარე სტუდენტს ნახავთ და ისინიც საზღვარგარეთ გარბიან, იმიტომ, რომ აქ თუ ფული არ გაქვს და ვიღაცის შვილი არ ხარ, სამსახურს ვერ იშოვი. მაშინ რაში გვჭირდება ამდენი უმაღლესი სასწავლებელი? საბჭოთა კავშირის დროს, როცა 5 მილიონი ვიყავით, 18 უმაღლესი სასწავლებელი გვქონდა. ახლა ამის ნახევარი ვართ და 70-მდე აკრედიტებული უნივერსიტეტი გვაქვს. უნივერსიტეტების გარდა, დასახურია ბევრი მიმართულება. არ მესმის, რა საჭიროა პროფილურ უმაღლეს სასწავლებლებში არაპროფილური მიმართულებები? მაგალითად, ტექნიკური უნივერსიტეტისთვის ისტორიის ან ჟურნალისტიკის ფაკულტეტები სრულიად ზედმეტია და თავის პროფილურ მიმართულებებს უნდა მიხედოს. ასევე, სხვებმაც. სიტყვა რომ არ გამიგრძელდეს, გეტყვით, რომ განათლების სისტემის ყველა საფეხურზე ძირეული რეფორმებია გასატარებელი.

თქვენი აზრით, რომელ პოლიტიკურ ძალასთან ასოცირდება განათლების ყოფილი მინისტრი ალექსანდრე ჯეჯელავა? ეს ადამიანი იმ ხუთკაციანი კომისიის წევრი გახლდათ, რომელმაც ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან ღვაწლმოსილი პროფესორები გაუშვა, თანაც ამ დროს, აკადემიური ხარისხი არ ჰქონდა. ასეთი საკადრო პოლიტიკის შედეგია, რომ განათლების სისტემაში ნაციონალების წასვლის შემდეგ არაფერი შეცვლილა.

— დღევანდელი განათლების სისტემას ყველაზე მწვავედ ნაციონალები აკრიტიკებენ. თქვენ კი ამბობთ, რომ „ქართულმა ოცნებამ“ მათი საგანმანათლებლო პოლიტიკა გააგრძელა და რადიკალური ცვლილებები არ განუხორციელებია.

— ნაციონალებს ოპონირებაში ბადალი არ ჰყავთ, ხელისუფლებამ კი მათთვის პასუხის გამცემიც კი ვერ ნახა.. ღრმა და საფუძვლიანი რეფორმირების ნაცვლად, „ქართულმა ოცნებამ“ უმნიშვნელო ცვლილებები განახორციელა, რომლის წყალობით მივიღეთ გაცილებით უარესი, „ტაშფანდურა“ საგნებით სავსე და არაფრის მომცემი ეროვნული სასწავლო გეგმა. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სქემა ხომ საერთოდ, კორუფციის წყარო კი არა, მდინარეა.. ამდენი მკვლელობა და ძალადობა არ მოხდებოდა, რომ ასეთ გაუაზრებლად მიღებულ დოკუმენტებს მასწავლებელი და მოსწავლე არ დაეშორებინა.. ყველა მიმართულებით ჩიხში შევედით და ამას ხელისუფლება მშვიდად აკვირდება. ბავშვებში რომ ამდენი აგრესია და ძალადობაა, გაკვეთილების მიმდინარეობისას თუ გაკვეთილების შემდეგ ერთმანეთს რომ ჭრიან და ხოცავენ, თანამდებობის პირებმა პასუხი არ უნდა აგონ?

— 51-ე სკოლის მოსწავლეების მკვლელობის ფაქტს გულისხმობთ?

— არა მარტო, მაგრამ თუნდაც ეს ფაქტი იყოს. სასწავლო პროცესის დროს მოხდა სასტიკი დანაშაული. კი არ მოკლეს, დაკლეს ბავშვები და სკოლის დირექციას პასუხი არ უგია.. რატომ არავინ დაინტერესდა, დანაშაულის ჩადენის დროს, სად იყვნენ 51-ე და პირველი ექსპერიმენტული სკოლის დირექტორები? თუ ადგილზე იყვნენ, რა გააკეთეს, რომ ეს არ მომხდარიყო? მე თუ მკითხავთ, მარტო დირექტორები კი არა, სამინისტროს მთელი შემადგენლობა უნდა გაეშვათ. სანამ თანამდებობა მარტო მაღალ ხელფასთან ასოცირდება და არა პასუხისმგებლობასთან, ვერც ივანიშვილის დაბრუნება გვიშველის და ვერაფერი. დღეს არასრულწლოვანთა დანაშაულის ზრდა ყველაზე დიდი გამოწვევაა, ამიტომ არათუ თანამდებობა უნდა დაატოვებინონ, პასუხი უნდა აგებინონ ყველას, ვისი ბრალეულობაც ამ საქმეში იკვეთება.

საერთოდ გაუშვან არაპროფესიონალი და გამოცდილების არმქონე დირექტორები, რომლებსაც სკოლის მართვა არ შეუძლიათ. შეცვალონ უვარგისი კანონი, რომელშიც წერია, რომ სკოლის დირექტორად მუშაობისთვის პედაგოგიური განათლება აუცილებელი არაა და 3 წლიანი სტაჟიც საკმარისია. ასეთი რამ არც ერთ ქვეყანაში არ ხდება. სამი კი არა, სკოლის დირექტორს ათწლიანი სტაჟი და განათლების სისტემის სხვადასხვა საფეხურები უნდა ჰქონდეს გავლილი, რომ ნამდვილი პროფესიონალი ერქვას. როგორ შეიძლება გამოცდილების არმქონე ადამიანი პროფესიონალი იყოს, როცა პროფესიონალიზმს წლები და გამოცდილება ჭირდება?

ნელი თორდია
571 35 36 88



არის თუ არა რასიზმი საქართველოში? კი არის – ქართულ ტელევიზიებში ეროვნულად მოაზროვნე ადამიანებს ავიწროებენ!

„საქართველოში ფაქტობრივად არ არსებობს ქართული ტელევიზია, თითქმის ყველა მათგანი უცხო ქვეყნების სპეცსამსახურებია და ამ ქვეყნების ინტერესებს ემსახურებიან. ესენი იმაზე კი არ დარდობენ, რა უჭირს საქართველოს, მათი მთავარი საფიქრალია რა დავალებას მიიღებენ ამერიკიდან და რა გრანტით „დაჯილდოვდებიან“ შესრულებული „სამუშაოსთვის“, აცხადებს არასამთავრობო ორგანიზაცია „უფლებადამცველთა გაერთიანების“ თავმჯდომარე, ადვოკატი ნიკოლოზ მჟავანაძე.

„ტვ პირველზე“, ვახო სანაიას გადაცემაში იმიტომ მოხდა დაპირისპირება ჩემსა და წამყვანს შორის, რომ თავიდანვე პროვოკაცია იყო ჩადებული შავკანიანებთან დაკავშირებით. მათ დაჩეხილი ვიდეოკადრები დადეს, სადაც არ ჩანს როგორ დაიწყო ჩხუბი ბელიაშვილის ქუჩაზე. ვიმეორებ, იქ რასობრივ ნიადაგზე არ მომხდარა დაპირისპირება, უბრალოდ, ე.წ. ქართულმა ტელევიზიებმა შეფუთეს ასე, რასაც შორს მიმავალი ზრახვა აქვს. იმ ფონზე, როცა უამრავი ქართველი დევნილი გვყავს, გვჭირდება ამდენი უცხოელი მიგრანტი? სწორედ ეს კითხვა გახდა სტუდიაში დაპირისპირების მიზეზი. ვახო სანაიას არ ესიამოვნა ჩემი ნათქვამი, ისტორიულ ჰერეთში ქართველებს რომ აწამებენ, ამას რატომ არ აშუქებთ-თქო. სანაიამ აქეთ შემომიტია, ჭკუას ნუ მასწავლიო, რითაც პირდაპირ მიანიშნა, რომ არ გააშუქებენ. ამიტომ ვუთხარი, რომ ჰერეთელების პრობლემების არ გაშუქების მიზეზი, „სოკარის“ მიერ მათ ტელევიზიაში მიტანილი რეკლამებია, არ უნდათ აზერბაიჯანელების განაწყენება, რადგან ზვავ-ზვავ შეიძლება აღარ მიუტანონ ეს რეკლამები. სანაია იმიტომაც გაცხარდა, რომ მტკივნეულ ადგილზე დავარტყი, მტკივნეულ ადგილზე მოხვედრილმა ნათქვამმა ისე გააცოფა სანაია, რომ ეთიკის ნორმებიც დაავიწყდა. ქართული ტელეჟურნალისტიკის ისტორიაში, ვგულისხმობ საქართველოს დამოუკიდებლობის შემდგომ პერიოდს, არცერთ ტელევიზიაში, მათ შორის, „რუსთავი-2“-შიც არასდროს ყოფილა, რომ რესპოდენტისა თუ სტუმრისთვის ასეთი შეურაცხყოფა მიეყენებინოთ, სისულელეს ლაპარაკობ, წადი, დატოვე სტუდია, ეს ბოლო გადაცემაა შენთვისო და ა.შ. ბოლო გადაცემა ვისთვის იქნება და საერთოდ რა იქნება, ამას მომავალი გვიჩვენებს. სანაია ძალიან ბევრ ტელევიზიას იცვლის, სამსახურიდან წასვლის მიზეზი თავად უკეთ მოეხსენება. „ტვ პირველის“ ხელმძღვანელობის ადგილზე, სანაიას ბოლოდროინდელ საქციელს რეაგირების გარეშე არ დავტოვებდი. სოციალურ ქსელს რომ გადავხედე, ნამდვილად არ იხსენიებენ თბილად და ტკბილად სანაიას და თავად ტელევიზიას.

ჩემი ვარაუდით, მისი მიზანი იყო, შეურაცხყოფა მიმეყენებინა ან რაღაც ისეთი მეთქვა, რომ „კავკასიის“ მსგავსი სცენარი დადგმულიყო. სიმართლისთვის უნდა ითქვას, რომ თითქმის ყველა ტელევიზიაში უჩნდებათ პრობლემები კონსერვატიულად, ეროვნულად მოაზროვნე ადამიანებს, მათ ლაპარაკს არ აცლიან წამყვანები, სამაგიეროდ ლიბერასტებს სულგანაბულები უსმენენ, საუბარში არ ეჭრებიან და არც კითხვას უსვამენ. ეროვნულად მოაზროვნე ადამიანები მიუღებელია ლიბერასტულად მოაზროვნე „კონტიგენტისთვის“, წამყვანებთან ერთად სხვა რესპოდენტები და სტუმრებიც გაწყვეტინებენ სიტყვას, არ გაძლევენ პოზიციის ჩამოყალიბების საშუალებას, რაც გამიზნულად ხდება. ტრადიციული ღირებულების მატარებელი ადამიანები ტელევიზიებს უბრალოდ ანტურაჟისთვის ვჭირდებით.

სანაიას იმის მაგივრად რომ ბოდიში მოეხადა თავისი განცხადებების გამო, ბრძანებს ისევ იმ პოზიციაზე ვრჩები, რაზეც ვიყავიო, თან ვითომ ხუმრობს, იყო თუ არა პენალტიო. ვიცით ბატონო, ფეხბურთი რომ უყვარს, მეც ძალიან მიყვარს, ამიტომ ამ „ფეხბურთისმოყვარულს“ ვურჩევ გაითვალისწინოს, რომ როდესაც მატჩის დროს მსაჯი ნეიტრალურ ფიგურად კი არ რჩება, მხარედ იქცევა, ის თამაში ცუდად ფასდება. ასევე უნდა იყოს გადაცემის წამყვანიც, ხსენებულ გადაცემაში კი სანაია გამოკვეთილად მხარე იყო. ერთ-ერთ სტუმარს ლამის თოფით დაადგა, თქვენ შეიძლება კანის ფერის გამო პრობლემა არ გქონიათ საქართველოში, მაგრამ თქვით, ხომ გაგიგიათ სხვებს რომ ექმნებათო. ამიტომ ვუთხარი სანაიას, რომ ქართველები და ყველაფერი ქართული ეზიზღებათ. სანაიას კოლეგებიც აყვნენ, იგივე იდეოლოგიის მქონე ჟურნალისტები, თურმე ჩამჭრელი კითხვა დამისვეს, რაზეც ვერ ვუპასუხე. კუდი მოაბეს შავკანიანი სტუმრის აბსურდულ კითხვას, ღმერთი თეთრია თუ შავიო. მასაც ვუთხარი, რომ სისულელე იყო ამგვარი კითხვის დასმა, მეტი რა პასუხი უნდა გამეცა?! შეგნებულად არ შევყევი დისკუსიაში, რადგან ეს იყო შეურაცხმყოფელი კითხვა, მაშინ უნდა მეთქვა, რომ ისიც გიორგი გაბუნიასავით შეურაცხყოფდა ქრისტეს და სულ სხვა გადაცემა წავიდოდა. რა ფერზეა საუბარი, როცა ქრისტე არის ნათელი და უხილავი. ამ გადაცემის შემდეგ, უამრავი ადამიანი მიკავშირდება და მხარდაჭერას მიცხადებს, საინფორმაციო სააგენტო „ჰერეთის“ წარმომადგენლებმა მითხრეს, სანაიამ მარტო თქვენ კი არა, ჰერეთელებსაც მოგვაყენა შეურაცხყოფა და ჩვენს მიმართაც მოიხადოს ბოდიშიო. ცხადია, სანაიას არც ის ესიამოვნა, როცა ვკითხე ძაღლებსა და კატებს გადაცემების ციკლს რომ უძღვნით, რატომ არ აშუქებთ რა სავალალო დემოგრაფიული მდგომარეობაა შექმნილი ქვეყანაში, ქართველები თუ ხართ, ჯერ ქართველების პრობლემები გააშუქეთ და მერე იზრუნეთ უცხოტომელ მიგრანტებზე-თქო. ამიტომ ვამბობ, რომ ესენი არ არიან ქართული ტელევიზიები, სულგაყიდული ხალხია, რომლებისთვისაც მთავარი მსუყე გრანტებია. გრანტი კი ქართველების უფლებების დაცვაზე არ მოდის, „პრიორიტეტული“ რელიგიური, ეთნიკურ უმცირესობების ინტერესების „დაცვაა“.

ჟურნალისტის ძმამ რამდენიმე ტაქსისტი დააყაჩაღა, ამასთან დაკავშირებით, საჯარო განცხადება გავაკეთე, ეს ტელეკომპანია „ქართულ ოცნებას“ ჩადენილ „დანაშაულობებს“ რომ უთვლის, თავისი ძმის ყაჩაღობებთან დაკავშირებით სიუჟეტი რატომ არ გააკეთა-თქო. სხვათა შორის, ამ პიროვნებას საპროცესო შეთანხმება გაუფორმეს და გაათავისუფლეს. ამ განცხადების შემდეგ, ამ ტელეარხმა დამბლოკა, ახლა „ტვ პირველიც“ თუ დამბლოკავს, არ იქნება ეს ჩემთვის ტრაგედია. თუ ყველა კონსერვატიულად, ეროვნულად მოაზროვნე ადამიანებს დაბლოკავენ ტელევიზიები, არ არის გამორიცხული ხალხი ქუჩაში გამოვიდეს. ეროვნული მოძრაობის და ნაციონალების მმართველობის დროსაც ჩაკეტილი იყო ტელევიზიები, მაგრამ ხალხი ქუჩაში გამოდიოდა და იქ ლაპარაკობდა, უტელევიზიობას პოლიტიკური მოვლენებისთვის ხელი არ შეუშლია. ჩვენ გადაცემაში მიწვევას გვამადლიან, სამაგიეროდ, „გირჩი“, რომელიც ებრძვის ეკლესიას, ჯარს, ეროვნულობას, ყველა გადაცემაში უზით, ყველა ქართველთმოძულე, ქართველების მტერი ტელევიზიების მუდმივი სტუმარია. ბარემ ჩუსტები და ხალათიც აჩუქონ, რომ სახლში წასასვლელად დრო არ დაკარგონ.

— **ეროვნულად მოაზროვნე ხალხი რეიტინგისთვის ჭირდებით ტელევიზიებს, საზოგადოებას განსხვავებული აზრის მოსმენა უნდა. მარტო ფსევდოლიბერალები რომ მიიწვიონ თოქ-შოუებში, იმ მწირ მაყურებელსაც დაკარგავენ, რაც ყავთ ქართულ ტელევიზიებს.**

— ამიტომ ვამბობ, რომ ანტურაჟისთვის ვჭირდებით, წინააღმდეგ შემთხვევაში აზრის გამოხატვის საშუალებას არ შეგვიზღუდავდნენ, ახლა უკვე შეურაცხყოფაზეც გადმოდიან. ელიზბარ ჯაველიძეს ეთერი გათიშული ეგონა და შეიგინა, ატყდა ერთი ამბავი, ისე მონათლეს, თითქოს ინგა გრიგოლიას შეაგინა. მაინ და მაინც უნდა შეეგინებინა სანაიას, რომ შეურაცხყოფად ჩაეთვალათ. „ტვ პირველის“ მხრიდან ადეკვატური საქციელი იქნებოდა სანაიას ბოდიში მოეხადა, შეცდომა ვის არ მოსვლია, მაგრამ კიდევ აქეთ არიან დიდ გულზე, თურმე აზრი არ შეუცვლია. მე რომ გამოვიდე და ვთქვა, ზოგიერთი ჟურნალისტი რეალურად რა პიროვნებაცაა, ბევრი მათგანი შეიძლება ბევრი მათგანი მარტო ტელეეთერში ვერ გამოჩნდეს კი არა, ქუჩაშიც ვერ გამოვიდეს, მაგრამ ამას არ ვაკეთებ, მორალი არ მაძლევს ამის უფლებას. ესენი ჯერ სააკაშვილის რეჟიმს ემსახურებოდნენ, ახლა სააკაშვილის დაბრუნებას და ქართველების წინააღმდეგ ბრძოლას ემსახურებიან. „ქართული ოცნების“ ხელისუფლება მართლა დამნაშავეა, ამათ პასუხი რომ არ აგებინა, არ შეაფასა მათი „მოღვაწეობა“ და არ დაითხოვა ტელეეთერებიდან. **იმ ჟურნალისტებისთვის, რომლებიც ჰიტლერს ემსახურებოდნენ, სამუდამოდ ჩაიკეთა გერმანული მედიის კარი, ჩვენთან კი რეჟიმის „გამპრავებლები“ სახელმწიფო უწყებების პრესსამსახურებში და სამთავრობო ტელევიზიებში დაასაქმეს,** ხოლო ის ჟურნალისტები, რომლებიც ცხრა წელი რეჟიმის მიერ იდევნებოდნენ, ახლაც უმუშევრები სხედან. იმიტომაც არის კარგად ხელისუფლების პიარის საქმე. თქვენ გგონიათ, ციხის გამაუპატიურებლებზე ნაკლებები იყვნენ ის ჟურნალისტები, რომლებმაც კარგად იცოდნენ რა ხდებოდა, მაგრამ ემსახურებოდნენ ამ უბედურების „შემოქმედთ“. ახლობელთან სტუმრად ვიყავი, „პოპულარული“ სერიალი „ჩემი ცოლის დაქალები“ გადიოდა, გავოგნდი, ფილმის პერსონაჟმა კაცმა მცირეწლოვან შვილს ისეთი უწმაწურობა უთხრა, ვერ გავიმეორებ. ძალიან მაინტერესებს, შეიძლება ასეთი უხამსობის პროპაგანდა? ქართული ტელეარხების ყურება არ შეიძლება, მე უბრალოდ, იძულებული ვარ ვუყურო, საჯარო სივრცეში ვარ ჩართული და უნდა ვიცოდე ქვეყანაში რა ხდება.

აფგან მუხთარლიზე რომ შემოიხიეს ყველაფერი, უდანაშაულო ქართველი, ბესო ქუზიბაბაშვილი რომ ზის აზერბაიჯანის ციხეში, ამაზე ხმას რატომ არ იღებენ ტელევიზიები, უფლებადამცველები და პოლიტიკოსები? ჩვენს ხელისუფლებას ერთი ტაშ-ფანდურა რომ აქვს ატეხილი ნოვრუზ-ბაირამზე და ულოცავენ ჩვენს თანამოქალაქე მუსლიმანებს, ერთხელ თუ ჩასულა ჰერეთში პრეზიდენტი ალიევი და იქაურებისთვის თუ მიულოცია ქრისტიანული დღესასწაულები? ჰერეთში მცხოვრებ ქართველებს რომ შეურაცხყოფს, იმ ქვეყნის მეგობრად მოხსენიება ცოტა გადაჭარბებული ხომ არ არის? ქართულ ეკლესია-მონასტრებს

8 გვ.



ტრისტან ფითელაშვილი:

სააკაშვილი დემოკრატიის კი არა სიკვდილის შუქურაა

სააკაშვილის ბანდიტები არა მარტო მაიდანზე ხვრეტდნენ უდანაშაულო ადამიანებს, არამედ მათ მონაწილეობა მიიღეს ოდესის „ოპერაციაში“, სადაც მომიტინგეები შენობაში შერეკეს და ცოცხლად დაწვეს

ორიოდე დღის წინ რუსეთმა კიევსა და ოდესაში მომხდარი გამიზნული მკვლელობების შესახებ განაახლა საუბარი, სადაც პოროშენკოც ფიგურირებს. ამ საკითხებთან დაკავშირებით „საერთო გაზეთის“ სტუმარია ტრისტან ფითელაშვილი, როგორც ინფორმირებული და აღნიშნულ სიტუაციების შესახებ ინფორმირებული პირი.

– თქვენ თუ გახსოვთ, როდესაც 2014 წელს მაიდანზე დახოცეს მშვიდობიანი მომიტინგეები, ერთ კვირაში მედიით განვაცხადე, რომ ამ საქმეში მიხეილ სააკაშვილი იყო ერთ-ერთი მთავარი ფიგურა. მაშინ ჩემი მისამართით წამოვიდა ლანძღვა-გინება, ხან პროვოკატორი მიძახეს და ხან კრემლის აგენტი. მე იმ დროს უკვე მქონდა გარკვეული სახის ინფორმაცია, რადგან სააკაშვილის მიერ ჩაყვანილ ზონდერებში აღმოჩნდნენ ჩემი ყოფილი ხელქვეითები, ჩემს მიერ მომზადებული სნაიპერები, როდესაც ჯარში მსახურობდნენ...



– თქვენთან რატომ გამოვიდნენ კავშირზე, გაუგებარია...

– როდესაც დახოცეს მშვიდობიანი მომიტინგეები (6-ნი იყვნენ ესენი), ამის შემდეგ დაიწყო მათზე ნადირობა, ეტაპობრივად უნდა მომხდარიყო მათი ლიკვიდაცია (ყიფიანის მოკვლა მოასწრეს, გვერდზე ქუჩაზე ნახეს მოკლული). ამ ოპერაციის შემდეგ ფული უნდა გადაეხადათ, ცხადია. ამათთან მივიდა იქაური ერთ-ერთი ჯგუფის ხელმძღვანელი, მეტსახელად „ჟან“, რომელიც იცნობდა „ბეჟოს“ (სააკაშვილის ჩაყვანილი) და უთხრა, დროზე წადით აქედან, ცუდი ამბავი გელითო. ამათ, ამავდროულად, შეიტყვეს, რომ ყიფიანი უკვე მოკლული იყო და გაქრნენ. რა ფული, რის ფული! მამულაშვილს ჰყავდა წაყვანილი, ის ხელმძღვანელობდა და ამერიკელი ოფიცერი ქრისტოფერ ბრაიანი. ასევე, უკრაინის პარლამენტის თავმჯდომარე ანდრეი პარუბი და უკრაინის ახლანდელი უშიშროების საბჭოს მდივანი სერგეი პაშინსკი. მათ შეაიარაღეს სააკაშვილის სნაიპერები; განალაგეს ზოგი სასტუმრო „უკრაინაში“, ზოგი – კონსერვატორიის შენობაში და მიიღეს ბრძანება...

– ხალხის დახოცვაზე რატომ იყვნენ დაგეშილები?

– იანუკოვიჩთან ინტენსიური მოლაპარაკება მიმდინარეობდა ევროსაბჭოს ლიდერების მხრიდან, რომ ჩატარებულიყო ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნები. დათანხმდა, ბოლო-ბოლო, იანუკოვიჩი, 18-ში ხელი უნდა მოეწერა თანხმობაზე, მაგრამ ეს უკვე მიუღებელი იყო აქეთა მხარისთვის, რადგან იმას ნიშნავდა, რომ ესენი მიზანს ვერ მიაღწევდნენ. ამიტომ საჭირო იყო არეულობა და შტურმით ძალაუფლების ხელში აღება. ამ დროს მაკკეინიც ჩაფრინდა, შედგა თათბირი და ამ გეგმის ერთ-ერთი ნაწილი იყო ესეც, ადამიანების დახოცვა. თუ ხალხი დაშლას დაიწყებდა და დრო გაიწელებოდა, ყველაფერი ეშლებოდათ, ამიტომ უნდა დაესწროთ იანუკოვიჩის ხელის მოწერისთვის და მოეკლათ, როგორც თავიანთი მომხრეები, ისე – „ბერკუტელები“. ჩაატარეს დაგეგმილი და აიღეს კიდეც ხელში ძალაუფლება. რა თქმა უნდა, არჩევნებზე ეს მხარე ვერ გაქაჩავდა, დონეცკი, დონბასი, ხარკოვი – პრორუსული მოსახლეობა იყო, მხოლოდ ბენდერები ვერ გადასძალავდნენ.

გიორგი ბეჟიტაშვილი, კობა ნერგაძე, ალექსანდრე რევაზიშვილი, ცეზარ ბაჯელაძე, გიორგი სარალიძე და მერაბ ყიფიანი – ამათ კი შეასრულეს დავალება, მაგრამ ჰყავდათ „გამწვენდი ჯგუფი“, რომელსაც ფაქტების მოსპობა ევალებოდა, მათ შორის, შემსრულებელი სნაიპერების. ორის მოკვლა მოასწრეს, ყიფიანის და სარალიძის, დანარჩენები, ბაჯელაძის გარდა, წავიდნენ. ბაჯელაძე ახლო კონტაქტში შევიდა მამულაშვილთან, ფიქრობდა, ფული ავიღოო... გაიფანტნენ მიშას სნაიპერები სხვადასხვა ქვეყნებში და შემდეგ მოხდა ჩემთან კონტაქტზე გამოსვლა.

– ფაქტოვრივად, დახმარება გთხოვეს...

– დიახ. ჩვენზე ნადირობენ, უნდა დაგვხოცონო. ბუნებრივია, როდესაც ადამიანი მოგმართავს დახმარებისთვის და ეს სიკვდილ-სიცოცხლის ამბავია, შედიხარ მის მდგომარეობაში. ვინ ნადირობს-მეთქი? აშშ-ის სპეცსამსახურებიც ნადირობს, მარტო სააკაშვილზე არ არის საუბარიო. გავიარე კონსულტაციები, მოვახერხე და გავედი იანუკოვიჩის ადვოკატებზე. არ დაგიმალავთ, შევხვდი მათ. ვუთხარი, რომ არიან ცოცხალი მოწმეები, რომლებიც მზად არიან, აღიარონ, რაც ჩაიდინეს და ვისი ბრძანებით, მაგრამ გარანტიებია საჭირო. შევიკრიბეთ „ძალიან ისეთი“ პირები, შევხვდი კონკრეტულ ერთ პირს, რომლის ვინაობას არ დავასახელებ ჯერჯერობით და მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ მე წავსულიყავი ევროპაში, რათა შევხვედროდი ამ ხალხს. მივიღე გარანტიები, რომ აღნიშნულ

პირებზე არ აღიძვრებოდა სისხლის სამართლის საქმეები. პარალელურად, ჩაერთვებოდა ევროპის ადამიანთა უფლებების დაცვის სხვადასხვა ორგანიზაციები და იქნებიან ეს ადამიანები დაცულები. ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს ადამიანები დასხდებოდნენ ტელეკამერების წინ და ისაუბრებდნენ თავიანთ ნამოქმედარზე. რა თქმა უნდა, საუბარი არ არის საქართველოზე, ევროპის ქვეყნების ტელევიზიები იგულისხმება.

ჩავედი და შევხვდი, ავუხსენი, რა გზით შეიძლებოდა მათი შველა. ამის შემდეგ შევხვდი იტალიელ ჟურნალისტს (რამდენიმეს), შევხვდი „ბი-ბი-სის“ წარმომადგენელს სამხედრო ექსპერტის კუთხით, რათა ანალიზი გამეკეთებინა და, ამავდროულად, არ მომხდარიყო თუნდაც უმნიშვნელო დეტალის უმართებულოდ წარმოჩენა. პრეზიდენტს რომ უყენებ ბრალდებას, ხელს ადებ პარლამენტის თავმჯდომარეს, უშიშროების საბჭოს მდივანს და ა. შ. ჰაი-ჰარად ვერ ილაპარაკებ. ეს გუნდი იყო ყველა უბედურების შემოქმედი და ზედ დართული მიხეილ სააკაშვილი, აქტიური ფიგურა იმ სიტუაციებში. ის არის ამ „სპექტაკლების“ დამდგმელი (გარდა სნაიპერებისა, სხვა „შემსრულებლებიც“ ჰყავდა ჩაყვანილი საქართველოდან). დავდიოდი ჟურნალისტებთან ერთად იმ ქვეყნებში, სადაც ეს სნაიპერები იყვნენ, იწერდნენ და ვუდარებდით მათ ნაამბობს ერთმანეთს; ვიყავით იმ ადგილებზე, რომელზეც საუბრობდნენ და აბსოლუტური სიზუსტე იყო. აღსანიშნავია, რომ სააკაშვილმა ესენი საქართველოდან გაიყვანა ყალბი პასპორტებით. გვარ-სახელები, რომლებიც ამათ დამისახელეს, ამოვიღეთ აეროპორტის ბაზიდან – წამი-წამზე დაჯდა ყველაფერი. გარდა სნაიპერებისა, იმ ადგილობრივებსაც გავესაუბრე, ვინც მონაწილეობდა იმ ამბებში. ამას დაერთო ისიც, რომ მე ხელში ჩამივარდა ოპერატიული მასალა, რომელშიც ის ღამეა ასახული, რაც დოკუმენტად დევს – სააკაშვილის, პოროშენკოს, პარუბის, პაშინსკის, ბრაიანის და მაკკეინის ნაავკაცარი.

ამ ფილმის ჩვენებამ ფეხზე დააყენა ევროპის ჟურნალისტები და არასამთავრობო ორგანიზაციები,. ფილმის ბოლოში ამბობენ განწირული სნაიპერები, რატომ იძლევიან ინტერვიუს; რომ მათ სიცოცხლეს საფრთხე ემუქრება და მათი გადარჩენის ერთადერთი გზა არის ეს – აღიარონ, ვისი ბრძანებით რა დავალებას ასრულებენ და თუ რამე დაემართებათ, გამოსაძიებელი არაფერი იყოს.

ამ ფილმის გამოსვლის შემდეგ დამიკავშირდნენ იანუკოვიჩის ადვოკატები, ჩამოვიდნენ კიდეც და ჩემთან დააზუსტეს, თუ მისცემდნენ სააკაშვილის სნაიპერები ჩვენებას. მე ისევ მომიწია ჩასვლამ მათთან და ამ ადამიანებმა მისცეს აღიარებითი ჩვენება. კიევის პეჩორის სასამართლომ მიიღო ეს ჩვენებები და, ამასთანავე, მათ წარედგინათ ეს ფილმიც.

ახლა, რა ხდება უკრაინაში: 23 თებერვალს დაიბარეს უკრაინაში სააკაშვილი დაკითხვაზე ამ საქმესთან დაკავშირებით. სააკაშვილმა უთხრა პოროშენკოს: ხო რამდენი ბრალდება წამიყენეთ. აგერ, კიდევ, უკვე ისეთი, რომ შენ თუ სასამართლოში მიმიყვან, დავაღებ პირს და ვიტყვი ყველაფერს. მიიმწყვდია ჩიხში სააკაშვილმა პოროშენკო, რაღა ექნა? ამიტომ იყო, რომ 22 თებერვალს იძულებითი დეპორტაცია გაუკეთეს სააკაშვილს, მოაცილეს ქვეყნიდან, თორემ სასამართლოს მიერ სხვა საქმესთან დაკავშირებით, გასვლის უფლება ჰქონდა ჩამორთმეული. სააკაშვილის ავანტურისტობა ვის გაუკვირდება და, აი, ამ შემთხვევაშიც გამოიყენა მომენტი, დაიძვრინა თავი უკრაინიდან.

ძალაუფლება რომ აიღეს ხელში, რეგიონები იყო დასამორჩილებელი, რადგან ძალიან ცუდად ჰქონდათ საქმე. რეგიონებში შეიქმნა „ანტიმაიდნის კონიტეტი“, მათ შორის, ოდესაში, ოდესა კი კარგი ლუკმა იყო სააკაშვილისთვის, ნაოცნებარი ლუკმა. თვით ოდესა რაში ანაღვლებდა, ოდესის პორტი იყო მნიშვნელოვანი, რომ ეწარმოებინა, როგორც იარაღის კონტრაბანდა, ისე – ნარკოტიკების.

პროფკავშირების შენობის წინ მიმდინარეობდა აქცია და მიიღეს გადაწყვეტილება, რომ აქციის მონაწილეები კი არ დაერბიათ, არამედ, ფიზიკურად გაენადგურებინათ. დაუძახეს ბაჯელაძეს სააკაშვილმა და მამულაშვილმა, შენ იქნები ჩვენი წარმომადგენელი და გაჰყვები „მემარჯვენე სექტორს“, პარუბის და 250-კაციანი ჯგუფი გაუშვეს ავტობუსებით ოდესაში და პარაცუკი (ჯგუფის ხელმძღვანელი იყო, პარლამენტარია ისიც). ჩავიდნენ ოდესაში, დაიწყეს პროვოცირებებით და ბოლოს მომიტინგეები მოაქციეს ალყაში ისეთნაირად, რომ შერეკეს ამ შენობაში. თან წაღებული ჰქონდათ გამზადებული „მოლოტოვის კოქტეილები“ და როგორც კი შენობაში შერეკეს მომიტინგეები, კარებები

8 გვ.

არის თუ არა რასიზმი საქართველოში?

6 გვ.

შეურაცხყოფენ, თქვენმა ეპისკოპოსმა აზერბაიჯანის მოქალაქეობა მიიღოს საინგილოში რომ იქადაგოსო, ეკლესიების გარდა, ქართულ სკოლებსაც არ ხსნიან, ქართული წიგნები ვერ შედის, ასე თუ გაგრძელდა, იქ ქართველი აღარ დარჩება. ამას რატომ არ აშუქებენ ე.წ. ქართული ტელევიზიები? მწვადებს შავკანიანებს კი ნუ უწვავენ, ჰერელებს შეუწვან, ამ გმირ ხალხს. დიდ პატრიოტებად რომ მოაქვთ თავი ამ ოპოზიციონერებს, ისინი რატომ არ იღებენ ხმას იმის წინააღმდეგ, თუნდაც საინგილოში რაც ხდება? მე უკვე „შავ სიაში“ ვარ შეყვანილი, ძალიანაც რომ მინდოდეს ჰერეთში ჩასვლა არავინ შემიშვებს, მაგრამ ვცდილობ რაღაც გავაკეთო, მარტო საუბრით არ ვიფარგლები. ჯანდაცვის კომიტეტში და საერთოდ პარლამენტში შეხვედრები მქონდა ამ საკითხებზე, აზერბაიჯანის პრეზიდენტის ადმინისტრაციაში წერილი გავაგზავნე. მე თუ რაღაცას ვამბობ, საქმითაც ვცდილობ, იმიტომ ვარ მიუღებელი იმ „კონტიგენტისთვის“, რომელიც საზოგადოებას წამლავს. ამათი ჭკუით პატრიოტიზმი, კულტურის და ტრადიციების დაცვა თურმე სისულელეა, ამის დამკვიდრებას ცდილობენ, მათთვის მთავარი სექსუალური უმცირესობის და არაქართველების დაცვაა.

ნაცხროვამ და მისმა სატელიტებმა ვახო სანაიას დაცვის „ეგიდით“ ე.წ. ჟურნალისტი ელისო კილაძე მომიქსიეს, მერე ისიც დაწერა სიამოვნებით ვცემდი ნიკოლოზ მჟავანაძეს, ჩემი შვილი დაჭერილი რომ იყო, ცუდად შეეხოო. ვინმეს თუ უნახავს ჩემი ერთი პოსტი მაინც, სადაც მის შვილს ცუდად ვიხსენიებ, მე არ ვარ ის ადამიანი, პატიმარზე ცუდი ვთქვა, წაქცეულს ვურტყამდე. ეს კილაძის სტილია, ის ლანძღავდა ამაზრზენი სიტყვებით ჟურნალისტებს გიორგი მამაცაშვილსა და ნინო ჯღარკავას, უნდა ვუთხრა თქვენს შვილებს რა მშობლებიც ყავხართო. მე დავდე სოციალურ ქსელში მტკიცებულებები როგორ ლანძღავს მათ კილაძე, დადოს ამ ქალბატონმაც მტკიცებულება, როგორ გავლანძღე მისი შვილი. აი, ეს ადამიანი ყავთ წამოსკუპებული ეთერში ყველა ტელევიზიას და ალანძღვინებენ ხელისუფლებას თუ განსხვავებულად მოაზროვნე ადამიანებს. ექსპერტობასთან ერთად, „ნათელმხილველობაზეც“ აქვს კილაძეს პრეტენზია, თუმცა სამი წელია მისი „ხილვები“ არ ცხადდება, ვერაფრით ვერ გადააყენა პრემიერ-მინისტრი კვირიკაშვილი. ტელევიზიებში მისი სისტემატურ სტუმრობასაც აქვს თავისი მიზეზი, ეჭვი არ მეპარება ჟურნალისტებზეც ექნება „კომპრომატები“, აბა ერთი არ მიიწვიონ გადაცემაში, ცხვირწინ დაულაგებს „მტკიცებულებებს“. არჩილ გამზარდიაზე ბრძანებდა კილაძე სუს-ის აგენტიაო, ახლა დღე და ღამე გამზარდიას უზის გადაცემაში, ახლა აღარ არის გამზარდია აგენტი? როგორ დამავიწყდა, ირაკლი ჩხვირკიაც ძალიან აქტიურობს სანაიას დაცვაში.

ახლა იცხრილება პოლიტსაბჭო და ყველაზე მეტად ესენი აკრიტიკებენ გასაყრელად გამზადებულ „თანაგუნდელებს“. ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკურ ასპარეზზე გამოჩენა, რა თქმა უნდა დადებითი მოვლენაა, ეს ხელისუფლებაზეც აისახება და იმედია, ვითარება გამოსწორდება. სახელისუფლებო გუნდიდან მისმა წასვლამ ძალიან ცუდად იმოქმედა, ყველაფერი უკან-უკან წავიდა, ფაქტობრივად თავზე დაიმხეს ყველაფერი სოროსის „ბუდიდან“ აფრენილმა უმწიფარმა პოლიტიკოსებმა. როგორ გაიწმინდება, ვინ დატოვებს ხელისუფლებას და თავად „ქართულ ოცნებას“, უახლოეს მომავალში ვიხილავთ.

მანანა სუხიშვილი
599 51 28 24

სააკაშვილი დემოკრატიის კი არა სიკვდილის შუქურაა

7 გვ.

ჩაურაზეს, ფანჯრებში კი „კოქტეილებს“ ყრიდნენ. ვინც ფანჯრიდან ხტებოდა, იმას ესროდნენ, სახანძრო დახმარების მანქანები კი არ მიუშვეს. რა თქმა უნდა, – ამას თვითონ ამბობს ბაჯელაძე. ეს იყო უშუალოდ სააკაშვილის მიერ ორგანიზებული მკვლელობა და მის მიერ გაცემული ბრძანება. ამით მან, ფაქტობრივად, დაიმორჩილა ოდესა და ცდილობდა, ხელში ჩაეგდო სრული ძალაუფლება. ოდესის გუბერნატორად გამომცხვარ სააკაშვილს ჩაჰყავს ოდესაში თავისი დაჯგუფებები და, მათ შორის, მახაური (მოკლეს უკვე კიევში), ჩეჩენი.

ოთხი პასპორტი ჰქონდა. ეს მახაური თურქეთშიც ჰყავდა გაგზავნილი სააკშვილს ერთი პირის ლიკვიდაციისთვის. სააკაშვილის ერთ-ერთი შემსრულებელი იყო, ლორთქიფანიძის გამოჩეკილი, იმ ლორთქიფანიძის, სააკაშვილმა ოდესის პოლიციის შეფად რომ დანიშნა.

სააკაშვილმა დაიწყო ინტენსიური კრიმინალური ქმედებები უკვე

ოდესაში. რა თქმა უნდა, იმ დროს ყველა საქმეში ერთად და ერთნაირად იგულისხმებიან ის პირები, ვინც გითხარით, ცხადია, პოროშენკოს ჩათვლით. მერე აერიათ მეგობრობა, თორემ ამ ოთხ ადამიანს უნდა ემართა მთელი უკრაინა (სააკაშვილი, პოროშენკო, პაშინსკი, პარუბი). ასეც იქნებოდა, გადაინაწილებდნენ სფეროებს, მაგრამ სააკაშვილმა მოინდომა ყველაფერი. არანაირი პოლიტიკური დაპირისპირება არ ყოფილა მათ შორის, გარდა ფინანსური ინტერესებისა. სააკაშვილმა პოროშენკოსთან დაახლოებული ბიზნესმენი გაიტაცა, გამოსძალა მილიონები და მანდ დამთავრდა მათი მეგობრობა. მერე ავაქოვთან დაახლოებული ბიზნესმენი გაიტაცა და მას გამოსძალა და ა. შ. დაიწყო იგივე, რასაც საქართველოში აკეთებდა: ბიზნესმენების გატაცება მილიონების გამოძალვის მიზნით; ბიზნესმენებისგან ფულის იძულებითი ამოღება; ადამიანების ლიკვიდაცია; გაუპატიურებები... მან დაიწყო ოდესიდან (ამის მასალები მაქვს) სირიაში ტერორისტთა გადასროლა, რომლებიც უკრაინის დროშის ქვეშ იბრძოდნენ „ისლამური სახელმწიფოს“ შემადგენლობაში. ერთ-ერთი პროვინცია რომ გაათავისუფლეს, შტაბში ნახეს უკრაინული დროშა, უკრაინული სიგარეტები და პირი, რომელიც დაატყვევეს, აღმოჩნდა უკრაინელი, რომელიც სააკაშვილის მიერ იყო გაგზავნილი. მიშას ხელს უწყობდა ყველანაირად მაკკეინი. ოდესის პორტიდან ხდებოდა იარაღის გადაყიდვა, ნარკოგადაზიდვები და უმთავრესი – მან გახსნა იქ გაურკვეველი მიმართულების კლინიკა „უკრაინის ომში მონაწილე მეომრების სარეაბილიტაციო ცენტრიო“. სინამდვილეში, რომ შეჰყავდათ დაჭრილები და ოპერაციას რომ უკეთებდნენ, ჯანმრთელ ორგანოებს აჭრიდნენ. მესამე ოპერაცია რომ ტარდებოდა ორგანოების ამოსაღებად და გასაყიდად, დაიჭირეს ამ საქმეში სირიელი ბიზნესპარტნიორი, რომელმაც აღიარებითი ჩვენება მისცა... აი, ასეთ და ამდენ სიბინძურეებში იყო ჩაბმული სააკაშვილი ოდესაში, ხალხის ცოცხლად დაწვის ჩათვლით. დემოკრატიის კი არა, სიკვდილის შუქურაა სააკაშვილი! „ბი-ბი-სის“ ბიურომ ისრაელში გადაიღო ფილმი ოდესის ამბავზე, რომელიც აჩვენეს უკვე, დეტალურადაა აღწერილი ყველაფერი, ბაჯელაძე ინტერვიუში ამბობს, აღიარებს.

– **ისიც ევროპაშია?**

– არა, ბელარუსში. ყველგან მომიწია ჩასვლამ და საუბარმა. ჯერ არ დამისრულებია მისია, ახლა მათთან მივდივარ, ვისაც იარაღის კონტრაბანდაში აქვს მიღებული მონაწილეობა უკრაინაში.

შემდეგ, უნდოდათ სპექტაკლის დადგმა, რომ გავანადგურეთ რუსეთის ქვედანაყოფები და საიდანღაც მოიტანდნენ ცხედრებს, ჩააწვენდნენ სანგრებში, მიუდებდნენ იარაღს, გადაიღებდნენ და აი, „ქართულმა ლეგიონმა“ ჩაატარა სპეცოპერაცია, გაანადგურა რუსული ქვედანაყოფებიო, სინამდვილეში „ბომჟები“ და გაურკვეველი ვინაობის გვამები იყო.

აი, ამას აკეთებდნენ უკრაინაში ის ქართველი „გმირები“, რომლებიც ვითომ საქართველოს იცავდნენ იქ, უკრაინაში.

P.S. ბატონმა ტრისტანმა მიჩვენა ფოტომტკიცებულებები და იმ სახის დოკუმენტაცია, რომელსაც მიზეზთა გამო ვერ ვაქვეყნებთ.

გიორგი ჩხეიძე

ნაციონალური ჩეჩმა

სააკაშვილი თმების წითლად გადაღებვას აპირებს?

სააკაშვილი სომხეთში ჩასვლას აპირებსო, – ითქვა. არ ჩავიდა! ჯერჯერობით, ყოველშემთხვევაში! სამაგიეროდ, თავის შვილს ჰოლანდიის მეფისადმი პატივისცემის ნიშნად, თმები ნარინჯისფრად გადაუღება. კარგია, რომ 11 თუ 12 წლის ბავშვმა უკვე იცის „მამისთვის როგორ სჯობს“, კარგია, რომ ნიკოლოზმაც იცის როდის და რა ვითარებაში, როგორ მოიქცეს. მამას კი, მის უსამშობლო მამას, ნიკოლოზი როცა უნდა „პატარაა“, როცა უნდა „დიდი“ და დიდად არ ანაღვლებს, რომ 12 წლის ბავშვი სკოლას აცდენს, მაგალითად როცა პოლონეთიდან უკრაინის „ასაღებად“ მიჰყავს. ბავშვიც კმაყოფილია და მამისადმი დაქვემდებარებულ რ2-თან, აცხადებს: “არ ვიცი რატომ მივიღე წამოსვლაზე გადაწყვეტილება. სკოლას ვაცდენ (იცინის). ვნერვიულობ დღევანდელ დღეზე. ღმერთმა დაგვიფაროს”. ხოლო, მოგვიანებით, როცა ბავშვი დაიკარდა, მამა პოლიტიკურად კივის: „ის არასრულწლოვანია, მხოლოდ 11 წლისაა, მე ვეკითხები პოროშენკოს, სად არის ჩემი შვილი. დამიბრუნეთ სწრაფად და ჩვენს ხალხთან კონტაქტს მოერიდეთ“.

სააკაშვილი ყველგან „მიდის“, საქართველოში, უკრაინაში, პოლონეთში, ამერიკაში, ჰოლანდიაში, სომხეთში... ყველგან, სადაც ელიან ან არ ელიან, უჭირთ თუ ულხინთ, სჭირდებათ მიჰა თუ – არა. მერე რა რომ „თეთრ სახლში“ არ შეუშვეს და ამერიკის პრეზიდენტის ინაუგურაციაზე ბუჩქებთან გადაღებული სელფით იწონებდა თავს, მოახერხა, პოზა შეიცვალა და თუ ადრე ილია ჭაჭავაძის სურათის ფონზე ყელყელაობდა, ახლა ბიძინას ჯინაზე მინდორ-ველებს, ტყესა და მდინარეს „იპყრობს“. ცეცხლშიც გადაეშვებოდა, ცეცხლი რომ არ წვავდეს – ასეთია მსოფლიოს გულშემატკივრის ბედი!

ასეთ ფონზე ვრცელდება ინფორმაცია, რომ სააკაშვილი საქართველოში დასაყრდენ ძალებს ეძებს და პოვნაც არ უჭირს, მსგავსი ინფორმაციები მიჰას „კრიშაზე“ აძრომამდეც ვრცელდებოდა და საფუძველს მოკლებული რომ არ იყო, იმითაც დასტურდება, რომ სტატიებს „ნე ვიჟუს“ „უკეთებდნენ“, არადა, მიჰას საყრდენ წერტილად „ქართული ოცნებიდან“ მინისტრი და მისი გარემოცვაც კი დასახელდა. საჯარო პირს თმენის ვალდებულება კი აქვს, მაგრამ არა იმდენად, რომ გავრცელებულ ინფორმაციას არ გამოეხმაუროს. დიახ, ინფრასტრუქტურის მინისტრს ალავიძეს ისე გამოაცალეს სავარძელი, მას პასუხი არ გაუცია ბრალდებაზე, რომ ის სააკაშვილს უკრაინაში რამდენჯერმე სტუმრობდა, უკრაინაში მიშას საბოლოო გაფარჩაკებამდე. სააკაშვილის ჯიბედ ირაკლი კოდუა და მისი „საძმო“ კარგა ხნის წინ დასახელდა.

რამდენიმე დღის წინ, როცა მთავარმა პროკურატურამ როგორც იქნა 2007 წლის 7 ნოემბერს, სამაუწყებლო კომპანია „იმედში“ უკანონოდ შეჭრის და ტელეკომპანიის დარბევის ფაქტზე შსს-ს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის (სოდ) ყოფილი დირექტორი ერეკლე დოდუა სამსახურებრივი უფლებამოსილების ძალადობით გადამეტების ბრალდებით, სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცა, კოდუას ცოლყოფილმა, ნანული ჟორჟოლიანმა „ბრძანა“: “იმედში ვინც მაშინ მუშაობდა, ყველამ იცის, როგორ გამოყავდა ერეკლე კოდუას თანამშრომლები შენობიდან და მისი პირადი მანქანითაც კი უშვებდა სახლში. შესაბამისად, ჟურნალისტებმა იციან სიმართლე. რაც შეეხება ხალხს, მათმა დიდმა ნაწილმაც იცის უკვე რომ ეს ხელისუფლება მხოლოდ პოლიტიკური დევნითაა დაკავებული. აბა, რაღა დროს კოდუაა. ის ხომ მხოლოდ მიშასთან გადაღებულმა ფოტომ გაგახსენათ და სხვებივით რომ ეთანამშრომლა თქვენთან, იცხოვრებდა ქვეყანაში მშვიდად. მოკლედ, საბას მამა, ისედაც ვერ ჩამოვა ქვეყანაში, ვიდრე თქვენ ხართ მთავრობაში და წერეთ და იკითხეთ ეგ თქვენი ბრალი. და ამ ყველაფრის პარალელურად გემს მიხედეთ, გემს. ირაკლი, შენ ჩემზე კარგად იცი, რომ ყველაფერი მაგრად იქნება”.

დიახ, „იმედის“ ჟურნალისტებმა კარგად იციან და არა მხოლოდ „იმედის“ ჟურნალისტებმა: როცა „იმედი“ დაარბიეს, მეორე დღესვე გავრცელდა ინფორმაცია ვინ „გამოიყვანა“ და ვის „უშველა“ კოდუამ. იციან, რომ ეს გიორგი თარგამაძე იყო, ჟურნალისტებს რომ ცხვირიდან ძმრად სისხლს ადენდნენ, ამ დროს გიორგი თარგამაძე ასლან აბაშიძის ნაჩუქარ კოსტიუმებს ალაგებდა „ჩუმადანში“ და უკანა კარიდან უსისხლოდ ტოვებდა ტელევიზიას. დიახ, ეს იციან. ისიც იციან, რომ „იმედის“ დარბევის შემდეგ, თარგამაძის ახლადშექმნილ პარტიას ნაცებმა სრული კარტბლანში მისცეს. ისიც იციან, როგორ მოვიდნენ დეპუტატებად, როგორ წავიდნენ ისიც ვიცით და დღეს თარგამაძის „ასკოლკა“ მაგდა ანიკაშვილი „გვმოძღვრავს ფილოსოფიურად“ რომ თურმე მსოფლიოს ჩამოვრჩით, ყველა ჭარბმოსახლეობაზე „ზუზუნებს“, ჩვენ, ქართველები კი გამრავლებისკენ მოვუწოდებთ გასამრავლებლად ნაყოფიერ ახალგაზრდობას და ამიტომ ჩვენ ვართ „ბნელები“. ჟურნალისტებმა ისიც იციან ნანუკა ჟორჟოლიანი როგორ მიუვარდა ერთ ეგრედწოდებულ ცნობად სახეს, რომელიც პარალელურად ჟურნალისტობდა და როგორ კიოდა – ჩემს ირაკლის თავი დაანებეო. „ჩემმა ირაკლიმ“ მამლის მესამედ ყივილამდე უარყო ნანული, მაგრამ ნანული რის ნანულია, რომ არ ინანულოს. გიგი უგულავას და ირაკლი კოდუას სიყვარული ვერ მოინელა გოგომ, ამიტომაა რომ თავის „მიმართვაში“ ირაკლი კოდუას მხოლოდ ერთ შვილს ახსენებს, ვითომ კოდუას საქართველოში დატოვებული ოთხი შვილი, შვილები არ არიან და მხოლოდ საბა ელოდება მამას, რომელსაც საბას შემდეგ კიდევ ერთი შვილი გაუჩინა, კიდევ ერთმა ქალმა.

მოკლედ, ნანული იქით იყოს და თურმე ირაკლი კოდუა გმირი ყოფილა, გმირი, რომელსაც „ეს მთავრობა“ ვერ აფასებს. ირაკლიმ „იმედი“ კი არ დაარბია, საქართველოს უშველა, ბადრი პატარკაციშვილი მოაშორა ქვეყანას, სახელმწიფო გადატრიალება მოაშთო, რაშიც „იმედი“ ეიმედებოდა პატარკაციშვილს. მედლის ორივე მხარე დაგეწვათ ნაცებო, რუსთავი-2 რას აკეთებს სხვას? თუ რ2 დამოუკიდებლობის სიმბოლოა და ნიკა გვარამია, ეს ცნობილი პროკურორი, ჟურნალისტიკის მეგა-ვარსკვლავი? დარბევა კი არა ბუზიც არავის აუფრენია ამ გველების ბუდისთვის და როცა, კანონიერმა მეპატრონემ საკუთრების დაბრუნება გადაწყვიტა „ნიკას სამართალმა“ გადაწონა პინა. ამ ხელისუფლებამ არ უფეშქაშა ნაცებს ხალვაშის საკუთრება? მართალია ნანული ჟორჟოლიანი, ირაკლის ხელს ვერავინ ახლებს. აბა გაბედოს პროკურატურამ ამ საქმეში წინ წასვლა, კოდუა ეგრევე ააფრიალებს იმ ჩანაწერებს, ქოცების მასთან ვოიაჟის ჟამს რომ ჩაწერა.

დაბოლოს, ცოტა ხნის წინ გაირკვა, რომ „ბელადთან“ ბაჩუკი ქარდავა, პაატა დავითაია და შოთა მალაშხია ამსტერდამში სააკაშვილს შეხვდნენ. ამ „ჩვენთვითონა ხალხის“ და მეგი გოცირიძის ამარად თუა დარჩენილი მიჰა, მაშინ კი არ უნდა ჩამოვიდეს, იქ დარჩეს სადაც არის და იმანაც ნიკოლოზივით წითლად შეიღებოს თმები...

ქეთევან ზარნაძე
599 52 60 30

ძლიერი რეგიონები

მევენახეობის კოოპერატივების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამა

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო „მევენახეობის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამაში“ რეგისტრაციას აცხადებს (11 მაისის ჩათვლით სააგენტოს ვებგვერდზე www.acda.gov.ge)

სახელმწიფო პროგრამის თანახმად, კოოპერატივებს ყურძნის პირველადი გადამუშავებისთვის საჭირო საწარმოო დანადგარები გადაეცემათ. პროგრამაში მონაწილე კოოპერატივის წევრებს საშუალება ეძლევათ, სარგებელი ყურძნის რეალიზაციის გარდა უკვე ღვინის რეალიზაციიდან მიიღონ.

პროგრამით დადგენილი კრიტერიუმებით, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის არანაკლებ 20 მეპაიეს ინდივიდუალურად, თითოეულს საკუთრებაში უნდა ჰქონდეს ან/და საპაიო შენატანის სახით კოოპერატივში მისი წილი უნდა იყოს მაღალმთიან რეგიონში 0,1 ჰა, ხოლო დანარჩენ ტერიტორიაზე — 0,3 ჰა ვენახი, რომელშიც გაშენებულია ვაზის ნებადართული ჯიშები.

კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემთხვევაში, კოოპერატივს 100 ტონა ყურძნის პირველადი გადამუშავებისთვის საჭირო აღჭურვილობა გადაეცემა, ხოლო კოოპერატივმა გადამმუშავებელი საწარმოს შენობა-ნაგებობის აშენება უნდა უზრუნველყოს.

შარშან კახეთის რეგიონში, თელავისა და ყვარლის მუნიციპალიტეტებში, მევენახეობის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, ყურძნის გადამმუშავებელი სამი კოოპერაციული საწარმო გაიხსნა.

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში

● მერიაში გამართულ შეხვედრაზე თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში ტურიზმის საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტის პირველადი ვერსია განიხილეს. სამუშაო ჯგუფის წევრებმა იმსჯელეს მუნიციპალიტეტში ტურიზმის დარგში არსებულ მდგომარეობაზე და განიხილეს პრიორიტეტული აქტივობები, რომლებიც შემდგომ სტრატეგიის დოკუმენტში აისახება.

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი თავისი ისტორიით, მრავალფეროვნებით, კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობით, ბუნებრივ-კლიმატური პირობებით გამორჩეული მხარეა. არსებული რესურსების გათვალისწინებით, ადგილობრივი თვითმმართველობისთვის ტურიზმის განვითარება ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს.

განვითარების სტრატეგიით გათვალისწინებული თანამიმდევრული ღონისძიებების განხორციელების შემთხვევაში, მუნიციპალიტეტში შესაძლებელია ტურიზმის დარგის მდგრადი განვითარება, ტურისტების მოზიდვა, რაც ხელს შეუწყობს თეთრიწყაროს პოპულარიზაციას და მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

თეთრიწყარო

სტრატეგიის დოკუმენტზე მუშაობის დასრულების შემდგომ იგეგმება მისი საჯარო განხილვა, ხოლო საბოლოო ვერსიას მუნიციპალიტეტის საკრებულო დაამტკიცებს.

● თეთრიწყაროს სასწრაფო დახმარების სამსახურს სპეცმანქანა გადაეცა. საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის დირექტორმა ავთანდილ თალაკვაძემ, თეთრიწყაროს მაჟორიტარ დეპუტატ გოდერძი ჩანქსელიანთან და თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის მერ გიორგი ქორიძესთან ერთად, საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის თეთრიწყაროს რაიონულ სამსახურს ჯიპის ტიპის სპეცმანქანა გადასცა, რომელიც დაბა მანგლისისა და მიმდებარე სოფლების მოსახლეობას მოემსახურება.

ავტომობილი ევროსტანდარტების შესაბამისი სამედიცინო ინვენტარით სრულად არის აღჭურვილი და სპეციალურად რთულ რელიეფზე გადაადგილებისთვის არის გათვლილი.

რეგიონებში ავტოპარკის განახლების პროცესი 2014 წლის ოქტომბრიდან დაიწყო და გადაუდებელი სამედიცინო დახმარების ხარისხის გაუმჯობესებას ისახავს მიზნად.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში

მუნიციპალიტეტში 2013 წლიდან დღემდე საგზაო ინფრასტრუქტურის მოსაწყობად 35 მილიონ ლარზე მეტი დაიხარჯა.

2013–2017 წლებში მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული გზებიდან სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდა 88 კილომეტრ საავტომობილო გზას, რომლის სრულ მონაკვეთზე დაიგო ახალი ასფალტბეტონის საფარი.

78-კილომეტრიან მონაკვეთზე ორივე მხრიდან მოეწყო ბეტონის კიუვეტი.

წნორი-დედოფლისწყარო-ქვემო ქედის შიდასახელმწიფოებრივი გზის 56-კილომეტრიან მონაკვეთზე მოეწყო საგზაო ინფრასტრუქტურა: საგზაო ნიშნები, თანამედროვე სტანდარტების მოსაცდელები, სანიაღვრო არხები, ღვარგამტარი ბოგირები, თვალამრიდები, ხოლო დასახლებულ პუნქტებში — ტროტუარები.

ილიაწმინდა-ბოდბე-გამარჯვების 10-კილომეტრიან გზის მონაკვეთზე მოეწყო სანიაღვრო არხები, თვალამრიდები, ღვარგამტარი ბოგირები, ტროტუარები და საგზაო ნიშნები და სხვ.

2018 წელს დაგეგმილია 14 კილომეტრი გზის სრული რეაბილიტაცია, რაც გულისხმობს მთლიანად ასფალტის საფარის დაგებას.

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში

● მუნიციპალიტეტში მიმდინარეობს წყალმომარაგების სისტემისა და საგზაო ინფრასტრუქტურის სარეაბილიტაციო სამუშაოები.

პროექტი 2015 წელს დაიწყო, მაგრამ მასში რამდენიმე ცვლილება შევიდა და დასრულების ვადამ გადაიწია. ამორტიზებული წყლის მილების გამო სამუშაო პროცესი ვაშლოვანის ქუჩაზეც შეფერხდა. სავარაუდოდ, ორი კვირის ვადაში იგეგმება სასმელი წყლის გადართვა ახალ ქსელზე, რის შემდეგაც საგზაო სამუშაოები განახლდება. დღის-დღეობით არსებულ ვითარებას რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილე ილია ბეგიაშვილი, კახეთის გუბერნატორი ირაკლი ქადაგიშვილი და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები ადგილზე გაეცნენ. ორივე პროექტის დასრულების ახალი ვადა მიმდინარე წლის აგვისტოა. განახლებული ინფრასტრუქტურით ისარგებლებს როგორც ადგილობრივი მოსახლეობა, ისე გაზრდილი ტურისტული ნაკადი. პროექტებს ევროპის საინვესტიციო ბანკი აფინანსებს და მათი საერთო ღირებულება 15 მილიონ ლარამდეა.

დუშეთის მუნიციპალიტეტში

● ჟუთა-როშკის საავტომობილო გზის პროექტის საჯარო განხილვა სოფლების — როშკის, ღელისვაკის, ბლოსა და ბარისახოს მოსახლეობის ინიციატივით გაიმართა. საჯარო განხილვაზე დაინტერესებულ მოსახლეობას ახალი საავტომობილო გზის პროექტის შესახებ დეტალური ინფორმაცია თავად პროექტანტმა კომპანიამ — IGH Georgia-ს წარმომადგენლებმა მიაწოდეს. წარმოდგენილ განახლებულ ვერსიაში მაქსიმალურადაა გათვალისწინებული ადგილობრივი მოსახლეობის მოსაზრებები. პროექტის მიხედვით, საავტომობილო გზა სამხრეთ-აღმოსავლეთ მზიან ფერდობსა და ქედზე გაივლის, რომელიც აბსოლუტურად უწყლოა და ავტომანქანით გადაადგილება ზამთრის პერიოდშიც შესაძლებელია.

შეხვედრას ესწრებოდნენ დუშეთის მუნიციპალიტეტის მერი ზურაბ სეხნიაშვილი და საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე კახაბერ ჩიტაური, აგრეთვე მერიისა და საკრებულოს თანამშრომლები.

საზოგადოებისთვის ცნობილია, რომ ჟუთა-როშკის საავტომობილო გზის მშენებლობა ყაზბეგი-ხევსურეთი-თუშეთის შემაერთებელი გზის პროექტის ნაწილია, რომელსაც საავტომობილო გზების დეპარტამენტი ახორციელებს. დეპარტამენტის წარმომადგენლების ინფორმაციით, ახალი საავტომობილო გზის მშენებლობა 2020 წლამდე უნდა დასრულდეს.

დუშეთი

ძლიერი საქართველოსთვის

ჩოხატაური

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში

აზიურ ფაროსანასთან ბრძოლის მიზნით, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში იმუშავებს ოთხი ერთეული სპეციალიზებული ტექნიკა, ხოლო საყანე ფართობების დასამუშავებლად — ორი სატრაქტორო აგრეგატი. მაღალი გამავლობის ტექნიკა უკვე მობილიზებულია და აქტიურად დაიწყებს მუშაობას მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე.

მუნიციპალიტეტის მასშტაბით, შეიწამლება და თერმული ნისლის ტექნოლოგიით დამუშავდება სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული ტერიტორიები: სოფლების ტერიტორია, სიმინდის ფართობები, სადაც აუცილებელია სპეციალიზებული ტექნიკის გამოყენება, ტყისპირა ზოლები „მოიზიდე და გაანადგურე“ სადგურების გამოყენებით, რათა ტყიდან დასახლებულ ტერიტორიებზე მავნებლის გავრცელება აღიკვეთოს.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტში

● აზიურ ფაროსანასთან საბრძოლველად მუნიციპალიტეტში ათი ერთეული სპეციალური ტექნიკაა მობილიზებული. მწერის დასამარცხებლად მუნიციპალიტეტი და სურსათის ეროვნული სააგენტო კოორდინირებულად მუშაობენ. იწამლება საცხოვრებელი სახლების სხვენები და დამხმარე ნაგებობები. შესაბამისი პესტიციდებით მუშავდება მიტოვებული შენობები. თერმული ნისლის ტექნოლოგიის გამოყენებით დამუშავდა ცაიშისა და შამგონას ადმინისტრაციული ერთეულების ტერიტორია.

ქიმიურ წამლობის არეალი და ვადა მონიტორინგის საფუძველზე განისაზღვრება. ამჟამად მიმდინარეობს იმ ფართობების ქიმიური დამუშავება, სადაც დამჭერებზე მავნებლის ზღვრული ოდენობა დაფიქსირდა. პარალელურად გრძელდება მონიტორინგი.

ფოთის მუნიციპალიტეტის მერიაში

● 9 აპრილის ხეივანში, ამფითეატრების აღდგენითი და საგაზაფხულო სამუშაოების ფარგლებში, გაითიბა ბალახი, კირით შეთეთრდა ხეები, გაიწმინდა სანიაღვრო არხები.

● აგრარული ბაზრის ტერიტორიაზე, გზისა და კომუნიკაციების მოწესრიგების მიზნით, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურის, სივრცითი მოწყობის და ზედამხედველობის სამსახურმა საკრებულოს წევრებთან, სახანძრო და შესაბამის სამსახურებთან ერთად, ბაზრის ტერიტორიაზე დასაქმებულ ინდმეწარმეებთან შეხვედრა გამართეს. ადგილობრივი თვითმმართველობა უსაფრთხოებისა და სახანძრო ნორმების დაცვას მოითხოვს.

მარტვილის მუნიციპალიტეტში

● აზიურ ფაროსანასთან ბრძოლის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, სურსათის ეროვნული სააგენტოს და ფაროსანასთან ბრძოლის საკოორდინაციო შტაბის წარმომადგენლებმა მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს, ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლებსა და ადგილობრივ მოსახლეობას აზიურ ფაროსანასთან ბრძოლის სამოქმედო გეგმა გააცნეს. პროგრამის შესაბამისად, მარტვილის მუნიციპალიტეტში მაღალი გამავლობის შვიდი ერთეული ტექნიკა იმუშავებს. საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელი იქნება დამატებითი ტექნიკის მობილიზება.

● „დანერგე მომავლის“ პროექტის ფარგლებში, მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ სალხინოში, პროექტის ბენეფიციარმა ტარიელ გვილავამ 4 ჰა მიწის ფართობზე ლურჯი მოცვის ბაღი გააშენა. ბენეფიციარი პროგრამაში 2017 წლის დეკემბერში ჩაერთო. პროექტის ჯამური ინვესტიცია 108 169 ლარია, საიდანაც სააგენტოს დაფინანსებამ ბაღის გაშენებისა და სარწყავი სისტემების მოწყობისთვის 60 000 ლარი შეადგინა.

მარტვილის მუნიციპალიტეტში, „დანერგე მომავლის“ პროექტის მრავალწლიანი ბაღის კომპონენტის ფარგლებში, სულ 6 განაცხადია დამტკიცებული. გასაშენებელი ბაღის ფართობი შეადგენს 20 ჰა-ს, სახელმწიფოს მხრიდან თანადაფინანსების სახით დამტკიცებულია 84 387 ლარი.

სენაკის მუნიციპალიტეტში

● აზიურ ფაროსანასთან ფართომასშტაბიანი ბრძოლა მუნიციპალიტეტში, კერძოდ, ხორშისა და მენჯის (სკურიის უბანი, საწულეისკირიო, სახარბედიო, საგაბესკირიო) ადმინისტრაციულ ერთეულებში დაიწყო. მავნებლის საწინააღმდეგო კომპლექსური მოქმედებისთვის ყველა რესურსია მობილიზებული და იგი მუნიციპალიტეტის მასშტაბით ყველგან იგეგმება.

აზიურ ფაროსანასთან ბრძოლის სახელმწიფო სტრატეგიის ფარგლებში, მუნიციპალიტეტში შვიდი ერთეული მანქანა იმუშავებს. ღონისძიებებში ჩაერთვება ოთხი ერთეული მაღალი გამავლობის ავტომობილი თერმული ნისლის შემასხურებელი აგრეგატით, ცივი შესხურების ორი მანქანა და ერთი ტრაქტორი.

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში

● მუნიციპალიტეტის მერმა დათო გოგუამ და მერის პირველმა მოადგილემ გოჩა ჩიქოვანმა, მერიის ინფრასტრუქტურის სამსახურის წარმომადგენელთან ერთად, დაბა ჩხოროწყუში მიმდინარე გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები დაათვალიერეს. არახამიასა და ვაჟა ფშაველას ქუჩებზე ასფალტბეტონის საფარი 4 კმ-ზე დაიგება. ამ ეტაპზე მიმდინარეობს მოხრეშვითი სამუშაოები.

პროექტი რეგიონული განვითარების ფონდისა და ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით ხორციელდება და 751000 ლარით ფინანსდება.

● აზიურ ფაროსანასთან ბრძოლის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში სამი ერთეული მაღალი გამავლობის ავტომობილი და ერთი ტრაქტორი იმუშავებს. მათ შორის ორი ავტომობილი აღჭურვილია თერმული ნისლის აგრეგატით, ხოლო ერთზე დამონტაჟებულია მცირემოცულობიანი შემასხურებელი ტექნიკა.

ადმინისტრაციულ ერთეულებში დამონტაჟდა ფერომონები, საკარმიდამო მიწის ნაკვეთების შესაწამლად დარიგებულია ზურგსაკიდი აპარატებიც.

ბოლნისის მუნიციპალიტეტში

● მუნიციპალიტეტის მერიის საკონფერენციო დარბაზში, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებთან საინფორმაციო შეხვედრა გაიმართა. მონაწილეებმა ინფორმაცია მიიღეს შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატისა და ფინანსთა სამინისტროს აკადემიის ერთობლივი პროექტის შესახებ: „როგორ დავიწყოთ და განვავითაროთ ბიზნესი“. კურსის მიზანია, საკუთარი ბიზნესის დაწყების მსურველ ქალბატონებს გაუღრმაოს მეწარმეობის შესახებ თეორიული ცოდნა და გამოუმუშაოს ბიზნესისთვის აუცილებელი პრაქტიკული უნარები.

ერთობლივ პროექტში მონაწილეობა შეუძლიათ როგორც ეთნიკური უმცირესობების წამომადგენელ, ისე საზღვრისპირა ტერიტორიაზე მცხოვრებ და კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ ქალბატონებს.

● დიაბეტის მსოფლიო ფონდის დაფინანსებით ბოლნისის მუნიციპალიტეტში დიაბეტის მართვის პროგრამა ამოქმედდება. მუნიციპალიტეტის მერს დავით შერაზადიშვილს საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების წარმომადგენლებმა მიაწოდეს ინფორმაცია სამწლიანი პროექტის შესახებ, რომელიც 2018 წლის 1 მარტიდან დაიწყო და მეორე ტიპის დიაბეტის გამოვლენას, მართვის გაუმჯობესებასა და სკრინინგს გულისხმობს.

დმანისის მუნიციპალიტეტში

● დმანისელებს C ჰეპატიტის უფასო სკრინინგ-ტესტირება ჩაუტარდა თ. მობილური ლაბორატორია სოფელ ბოსლებში დილის 11 საათიდან, ხოლო სოფელ აზკაკლიანში დღის 1 საათიდან იყო განთავსებული და ნებისმიერ მოქალაქეს საშუალება ჰქონდა ჩაეტარებინა C ჰეპატიტის უფასო სკრინინგი.

სკრინინგ-ტესტირება ჩაუტარდა ასზე მოქალაქეს.

მარნეულის მუნიციპალიტეტში

● კაპანახჩის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე ალგეთის ღვინის ქარხნის დასახლების მოსახლეობა სასმელი წყლის პრობლემასთან დაკავშირებით მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას შეხვდა. ადგილობრივების თქმით, მათ სასმელი წყლის პრობლემა წლებია აწუხებთ და მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობისგან დახმარებას ითხოვენ.

მუნიციპალიტეტის მერმა თემურ აბაზოვმა მოსახლეობას აცნობა, რომ პრობლემის მოგვარების მიზნით ორ თვეზე მეტია სისტემატური მუშაობა მიმდინაროებს როგორც ადგილობრივ, ისე ცენტრალურ დონეზე.

ზემოაღნიშნულ ადმინისტრაციულ ერთეულს სასმელი წყლით შპს„ რუსთავწყალი“ ამარაგებს. ადგილობრივმა თვითმმართველობამ შეისწავლა და გაარკვია, რომ ცენტრალური მილსადენი ამორტიზებულია. შედეგად, დიდია წყლის დანაკარგი, რაც, მოსახლეობის მხრიდან არსებულ დავალიანებასთან ერთად, კომპანიას დიდ ხარჯად აწვება.

მილსადენის დაზიანებები იწვევს წყლის მიწოდების წნევის ვარდნას, რის გამოც შეუძლებელია სასმელი წყლის ნორმალურ რეჟიმში მიწოდება.

საკითხი არ განეკუთვნება ადგილობრივი თვითმმართველობის კომპეტენციას და მოქმედი (კანონი ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ) კანონმდებლობის შესაბამისად სცილდება მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებას, ამიტომაც მწვავე პრობლემის გადაჭრა მყისიერად ვერ ხერხდება.

პრობლემის გადაჭრის მიზნით, მუნიციპალიტეტი მოლაპარაკებას აწარმოებს „რუსთავწყალთან“ შესაბამისი ქმედითი ღონისძიებების გასატარებლად.

ჩხოროწყუ

„შენ კი გადმოხვედი აქეთ, მაგრამ მე როდის შევძლებ შენსკენ გადმოსვლას?“

წლევანდელი პირველი მოულოდნელობა მსოფლიოს ჩრდილო კორეამ მოუტანა, როდესაც მათ სამხრეთში გამართულ ზამთრის ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობის სურვილი გამოთქვეს. ამის გარდა, ოლიმპიადის გახსნის ცერემონიალზე ჩრდილოეთ და სამხრეთ კორეის დელეგაციებმა ერთიანი გუნდით ჩაიარეს. თვალშისაცემი იყო ჩრდილოელთა მრავალრიცხოვანი დელეგაცია, რომლის შემადგენლობაში კიმ ჩინ ინის და იმყოფებოდა, რომელმაც სამხრეთელთა პრეზიდენტ მუნ ჯინ ინთან სამსაათიანი პირისპირ შეხვედრა გამართა. კიმ ჩინ ინის დამ მასპინძელს თავისი ძმის წერილი პირადად გადასცა.

პოლიტიკოსები აღიარებდნენ, რომ წლევანდელი ზამთრის ოლიმპიადა აღმოსავლეთ აზიისთვის მშვიდობის მომტანი იქნებოდა. ორი თვის შემდეგ გამართლდა მათი ვარაუდი. თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ მოსაზრებას ევროპელი პოლიტოლოგების ნაწილი უნდობლად უყურებდა რეგიონში მშვიდობის დამყარებას. მათი ეჭვი გასაკვირი არ იყო, რადგან შარშან, როგორც გვახსოვს, ჩრდილოეთ

კორეამ წყალბადის ბომბიც კი გამოსცადა, აღარაფერს ვამბობთ ათეულობით ბალისტიკური რაკეტის გამოცდაზე.

ამჯერად ვითარება რადიკალურად შეიცვალა. ორი კვირის წინ კიმ ჩინ ინმა განაცხადა ბირთვული იარაღისა და ბალისტიკური იარაღის გამოცდის შეწყვეტის თაობაზე. მისივე თქმით, ასევე გაუქმდება სამხედრო-საცდელი პოლიგონი. გავრცელებული ინფორმაციით, მას პირდაპირი სატელეფონო კავშირი ჰქონდა სამხრეთის პრეზიდენტ მუნ ჯინ ინთან. დაანონსებული იყო, რომ ორივე კორეის ლიდერები 27 აპრილს დემილიტარიზებულ ზონაში პირისპირ შეხვდებოდნენ ერთმანეთს.

ორივე კორეის ლიდერების შეხვედრას მსოფლიო მოუთმენლად ელოდებოდა. 65 წლის მანძილზე ეს მხოლოდ მესამე შეხვედრა უნდა ყოფილიყო. სამიტმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. კინ ჩინ ინი და მუნ ჯინ ინი ერთმანეთს 38-ე პარალელზე, ზედ გამყოდფ ზოლზე შეხვდნენ, იქვე ჩამოართვეს ერთმანეთს ხელი. ორივე ლიდერი ერთმანეთს უღიმოდა, რაც უშუალო ურთიერთობის მაჩვენებელი უნდა ყოფილიყო. მუნ ჯინ ინმა კიმ ჩინ ინი მიიწვია თავისთან, რომელმაც უყოყმანოდ გადააბიჯა გამყოფ ბორდიურს. უკვე სამხრეთ კორეის ტერიტორიაზე ლიდერები კვლავ მიესალმენ ერთმანეთს. „...შენ კი გადმოხვედი აქეთ, მაგრამ მე როდის შევძლებ თქვენსკენ გადმოსვლასო“, — ნახევრად ხუმრობით ჰკითხა უკვე მასპინძელმა სტუმარს. კიმ ჩინ ინი არ დაიბნა, „თუნდაც ახლავეო“, — უპასუხა და ორივემ კვლავ გადააბიჯეს გამყოფ ბორდიურს ახლა უკვე ჩრდილოეთის მხარეს. 65 წლის მანძილზე ეს გახლდათ პირველი შემთხვევა, როდესაც ჩრდილოეთისა და სამხრეთის ლიდერები თუნდაც ფორმალურად სტუმრობდნენ ერთმანეთს.

ჩრდილო და სამხრეთ კორეის ლიდერების საუბარი მთელი დღის მანძილზე გაგრძელდა. აქვე აღსანიშნავია, რომ ჩრდილოელთა დელეგაციაში კიმ ჩინ ინის დაც იმყოფებოდა, რომელიც დიალოგისას საკმაოდ აქტიურობდა. საუბარი სუფთა ჰაერზე, იქვე გაშენებულ ბაღში პირისპირ გააგრძელეს. თავისთავად, მათ თარჯიმანი არ სჭირდებოდათ და, სავარაუდოდ, ბევრი ისეთი საიდუმლო საკითხი განიხილეს, რომელთა შესახებაც ვერავინ შეიტყობს.

შეხვედრა შედეგითაც დახუნძლული აღმოჩნდა. გადაწყდა, რომ კორეის ნახევარკუნძული გათავისუფლდება ბირთვული იარაღისგან, აღდგება სარკინიგზო და საავტომობილო მიმოსვლა, შემოდგომაზე ხელს მოაწერენ სამშვიდობო ხელშეკრულებას. რაც მთავარია, გაიჟღერა გაერთიანების იდეამ. სტუმარ-მასპინძელმა პარკში ფიჭვის ხე დარგეს, რომელსაც ჩრდილოეთის მიწაც მიაყარეს და წყალიც დაუსხეს.

კიმ ჩინ ინი სასადილოდ ჩრდილოეთში გადავიდა, მაგრამ ვახშმად მასპინძელთან დარჩა. სწორედ ვახშამზე შეუერთდნენ ლიდერებს მეუღლეები, მაშინ, როდესაც კიმ ჩინ ინს მთელი დღე და ახლდა. დამშვიდობებაც ისეთივე თბილი იყო, როგორც დახვედრა. ლიდერების მეუღლეები ერთმანეთს დიდი ხნის მეგობრებივით დასცილდნენ. აღსანიშნავია ერთი გარემოებაც — ბევრმა პორველად გავიგონეთ კიმ ჩინ ინის ხმა.

პოლიტიკოსები ორი ლიდერის შეხვედრას თავშეკავებულად, მაგრამ დადებითად აფასებენ. თუმცა, სამომავლო პროგნოზებისგან თავს იკავებენ. დონალდ ტრამპმა, ისევე, როგორც იანვარში, დიალოგის დაწყება, ორი ლიდერის შეხვედრაც საკუთარ დამსახურებას მიაწერა. მიმომხილველები ნახევრად ხუმრობით აცხადებენ, რომ ტრამპი მართალია, რადგან თავისი საომარი რიტორიკით აიძულა ორივე კორეა, მოსალაპარაკებლად დამსხდარიყვნენო. ექსპერტები იმასაც აღნიშნავენ, რომ სამხრეთელებმა დაინახეს, თუ რაოდენ დიდი საფრთხე ემუქრებათ საბრძოლო მოქმედებების დაწყების შემთხვევაში და ამიტომაც დაიწყეს მოლაპარაკება. ამერიკულ პრესაში უკვე წერენ, რომ სამხრეთელებს ქვეყნიდან აშშ-ის განდევნა სურთ და ამიტომაც დაიწყეს ჩრდილოეთთან დიალოგიო.

ექსპერტები აღიარებენ, რომ კიმ ჩინ ინი საკმაოდ ძლიერი და ჭკვიანი პოლიტიკოსი აღმოჩნდა. ადრე იგი სამხრეთელ ახალგაზრდებს ურჩხულად მიაჩნდათ, ახლა ბევრმა აზრი რადიკალურად შეიცვალა. თურმე იუმორის გრძნობაც ჰქონია. როგორც ამბობენ, მუნ ჯინ ინს უთხრა, ამის შემდეგ აღარ გაგაღვიძებ დილაუთენია ჩვენი რაკეტების გამოცდის მიზეზითო. ისინი ტრადიციულად გამთენიისას აწარმოებდნენ რაკეტების გამოცდებს, რითაც განგაშს იწვევდნენ იაპონიასა და სამხრეთ კორეაში. საერთოდაც, ორივე კორეა, პოლიტოლოგების აზრით, ამოუცნობი ფენომენია. თუმცა, გაყოფილი ქვეყნის გაერთიანებას ახლო მომავალში არ ელოდებიან, მაგრამ ერთიანი ეკონომიკური სივრცის შექმნას არ გამორიცხავენ.დასკვნების გაკეთება ნაადრევია, რადგან ჯერ წინ არის დონალდ ტრამპისა და კიმ ჩინ ინის შეხვედრა. ტრამპის ხასიათიდან გამომდინარე, ვითარების უარყოფითად მოულოდნელი განვითარება გამორიცხული არ არის. როგორც ჩანს, კიმ ჩინ ინის დაშინება შეუძლებელია და ტრამპს მასთან რთული დიალოგი მოუწევს.

გასული კვირის დასაწყისში ამერიკის შეერთებულ შტატებში ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა საფრანგეთის პრეზიდენტი ემანუელ მაკრონი მეუღლის თანხლები თ. აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა პომპეზური დახვედრა მოუწყო. თუმცა, ენაკვიმატი ჟურნალისტები ამბობდნენ, დედა-შვილი (ემანუელი და ბრიჯიტი) მამა-შვილს (მელანიას და დონალდს) შეხვდაო. მათ მხედველობაში ასაკობრივი სხვაობა ჰქონდათ. ერთი შეხედვით, ტრამპმა მაკრონი თბილად მიიღო, მაგრამ პოლიტოლოგების განცხადებით, მათი ურთიერთობა დიპლომატიურ ფარგლებს გასცდაო. ხელჩაკიდებულს დაატარებდა თეთრ სახლში, პიჯაკიდან ქერტლიც ჩამობერტყა… ტრამპმა აშკარად აჩვენა მაკრონს თავისი ადგილი. ამერიკული პრესა აღნიშნავდა, რომ ტრამპი მაკრონს გაცილებით ნაზად ექცეოდა, ვიდრე საკუთარ ცოლსო. თეთრი სახლის წინ საფრანგეთიდან ჩატანილი მუხის ნერგიც დარგეს, მაგრამ მეორე დღეს ჟურნალისტებმა ნარგავი ვეღარ ნახეს. როგორც გაირკვა, ნერგი ფიტოსანიტარულმა სამსახურმა კარანტინში გადაიტანა.

ამერიკაში ვიზიტამდე ექსპერტები აღნიშნავდნენ, რომ მაკრონს სურს ევროპაში ლიდერი ქვეყნის პოზიცია დაიკავოს და ტრამპის თვალში ამაღლდესო. მართალია, მაკრონი მართლაც თბილად მიიღეს აშშ-ში, კონგრესში სიტყვითაც გამოვიდა, მაგრამ სასურველ შედეგს ვერ მიაღწია, ვერ გადააფიქრებინა ირანთან ბირთვული მოლაპარაკებებიდან გამოსვლა. იგი იძულებული გახდა, თავად დათანხმებულიყო ხელშეკრულების პირობების გადახედვაზე. ამიტომაც სამშობლოში დაბრუნებული, კვირას ტელეფონით ესაუბრა ირანელ კოლეგას ჰასან რუჰანს. გავრცელებული ინფორმაციით, რუჰანმა მკვახედ უპასუხა მაკრონს, ხელშეკრულების პირობების გადახედვას არ ვაპირებთო.

ემანუელ მაკრონის შემდეგ აშშ-ში ვიზიტი გერმანიის კანცლერმა ანგელა მერკელმა განახორციელა. თუმცა, ფრაუს საკმაოდ ცივად დახვდნენ ამერიკაში, მიუხედავად იმისა, რომ შეხვედრისას ტრამპმა მას აკოცა. პირისპირ საუბარი მხოლოდ ნახევარ საათს გაგრძელდა. ამის გარდა, ტრამპმა სტუმარი არც ვახშამზე მიიწვია და მერკელმა ერთ-ერთ რესტორანში ისადილა. საერთო ჯამში, ვიზიტი აშშ-ში სულ 3 საათს გაგრძელდა. ექსპერტების განცხადებით, მერკელსაც ჰქონდა იმედი, რომ შედეგს მიაღწევდა, თუნდაც ალუმინისა და ფოლადის ექსპორტზე გაზრდილ დაბეგვრაზე, მაგრამ… ექსპერტების შეფასებით, მაკრონის სამდღიან და მერკელის სამსაათიან ვიზიტებს ერთი ფასი ჰქონდა.

გია ბურდული
551 71 27 07

ვინ არის ნიკოლ პაშინიანი და როგორ განვითარდება მოვლენები სომხეთში?

რუსეთ-თურქეთ-ირანის ალიანსი აშშ-სა და დასავლეთის გარკვეულ ძალებისთვის ახალი პროვოკაციების მოწყობის მაპროვოცირებელი გახდა.

ვარაუდობენ, რომ ალიანსის გაწყვეტის და მოსკოვის კუთხეში მიყენების ერთ-ერთ მთავარ ბერკეტად, შესაძლოა, ყარაბაღის კონფლიქტის ხელოვნური გააქტიურება იქცეს.

ამ მიზნით ბოლო ხანებში სომხეთში ვითარება დაიძაბა.

მოვლენების ეპიცენტრში კი ნიკოლ პაშინიანი მოექცა, რომელსაც სომხური საზოგადოება, აქამდე, ჟურნალისტად იცნობდა.

პაშინიანი 1975 წელს დაიბადა, 1991 წელს ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე ჩააბარა, ჟურნალისტიკის მიმართულებით. 1994–98 წლებში რამდენიმე ყოველდღიური გაზეთის ჟურნალისტი და მთავარი რედაქტორი იყო. ყველაზე დიდხანს, 13 წლის განმავლობაში, იგი გაზეთ **"Haykakan Zhamanak"**-ის მთავარი რედაქტორის პოსტს იკავებდა.

2008 წლის იანვარში პაშინიანი 7 წლით დააპატიმრეს, 2010 წელს მას 7-წლიანი სასჯელი 3.5 წლამდე შეუმცირდა, ხოლო 2012 წლიდან იგი სომხეთის პარლამენტის წევრად აირჩიეს. პაშინიანი ამჟამად პარტია "სამოქალაქო შეთანხმებას" მეთაურობს, რომელიც "ელკის" შემადგენლობაში შედის.

2017 წლის არჩევნებში მისმა ბლოკმა 105-დან მხოლოდ 9 მანდატის მოპოვება შეძლო.პარტია „სამოქალაქო შეთანხმებას" ლიბერალური, დასავლური კურსი აქვს. ისინი ევრაზიულ კავშირში სომხეთის ყოფნის წინააღმდეგ გამოდიან.

ნიკოლ პაშინიანის პოლიტიკური ბიოგრაფიიდან არაერთი ინიციატივის გახსენება შეიძლება, რომელიც რუსეთის და სომხეთის ურთიერთოების ეწინააღმდეგება. მის ოპოზიციურ ფრაქციას ეკუთვნის ინიციატივა, რომელიც ევრაზიული ეკონომიკური კავშირიდან სომხეთის გამოსვლას უკავშირდება.

პაშინიანს ხისტი პოზიცია ჯერ კიდევ 2013 წელს დადებული შეთანხმების რატიფიკაციისას გამოჩნდა, რომელიც სამხედრო-ტექნიკური თანამშრომლობის შესახებ რუსეთსა და სომხეთს შორის გაფორმდა. ამ შეთანხმების პირველი პუნქტი ამბობს, რომ სამხედრო ტექნიკის გადამცემ ქვეყანას უფლება აქვს კონტროლი განახორციელოს სამხედრო ტექნიკის ხელმისაწვდომობასა და გამოყენებაზე და შემსყიდველმა ქვეყანამ ამისთვის პირობები უნდა უზრუნველყოს.

სომხეთში მიმდინარე მოვლენებზე ანალიტიკოსი **სოსო მანჯავიძე** გვესაუბრება:

— ბატონო სოსო, რა ხდება დღეს სომხეთში? პაშინიანი დასავლეთის პროექტია?

— სომხეთში მიმდინარე მოვლენები ძალიან ჰგავს საქართველოში 2003 წელს განვითარებულ სიტუაციას, როცა თბილისში ანთებული თვალებით დარბოდა ხალხი და ყველა კუნჭულში მიშა-მიშას გაიძახოდნენ.

იგივე სიტუაცია იყო რუსეთშიც, როცა ელცინი მოდიოდა ხელისუფლებაში.

ასეთი ეიფორიები, როგორც წესი, არ მთავრდება ხოლმე კარგად, რადგან ხდება არსებული ელიტების ცვლა და ხელისუფლებაში მოდიან პერსონები, რომლებსაც წარმოდგენაც კი არ აქვთ სახელმწიფოს სტაბილურობის და მისი მოწყობის შესახებ.

ამას მოჰყვება ხოლმე რეპრესიული მანქანის ამოქმედების მკაცრი აუცილებლობა მოწინააღმდეგეების დათრგუნვის და იმ გაუგებრობების დასაფარად, რომელსაც რეჟიმების ცვლა იწვევს.

რაც შეეხება პაშინიანს, მისი ძირითადი ბრალდება სარქსიანის მიმართ ისაა, რომ შარშან ყარაბაღის ხუთდღიან კონფლიქტში პოზიციები თითქოს დათმო.

— ეს ჩვეულებრივი ტექნოლოგიაა, თუნდაც ჩვენი გამოცდილების მაგალითზე — ეროვნული ღირებულებებისა და სამშობლოს ცნების წინ წამოწევით ხელისუფლებაში მოდიან და მერე მთელი ძალებით ებრძვიან ეროვნულობის ყოველგვარ გამოვლინებას.

— ეს გახლავთ მანიპულაციის მექანიზმი. ადამიანის ძირითად იმპულსებზე მანიპულაციით მოდიან ხელისუფლებაში ასეთი ტიპის ლიდერები და ჩვენ უახლოეს მომავალში ვიხილავთ ამ შედეგებს ერევანში.

რაც ეხება რუსეთის როლს, რუსეთს არ აქვს დამუშავებული ე.წ. რბილი ძალის პოლიტიკა და ამას თვითონაც აღიარებენ. ის, რომ ყველგან ყველაფერს ტანკები გადაწყვეტენ, არასწორია.

რაზეა საუბარი, როცა რუსეთმა ვერ მოახერხა და თავისი აქტივების დიდი ნაწილი ამერიკის მთავრობის ობლიგაციებში აქვთ დაბანდებული. რუსეთიდან გატანილი კაპიტალის მოცულობა 2017 წლის მონაცემებით, 60 ტრილიონი რუბლი იყო, ანუ ტრილიონი დოლარი.

რუსეთი არ არის ჰომოგენური სახელმწიფო, როგორიც იყო, მაგალითად, სტალინის დროს. დღეს იქ ძლიერია ლიბერალური ფლანგი, რომელიც შიგნიდან ღრღნის ამ ქვეყანას. ამიტომაც რუსეთისა და დასავლეთის დამოკიდებულება იმაზეა დამყარებული, რამდენად შეძლებენ კონსოლიდირებას დასავლური ძალები და მოახერხებს თუ არა რუსეთი მყარად ჩამოყალიბებული სამოკავშირეო კონტრნაბიჯების გადადგმაას.

— ანუ რუსეთი ამ დაპირისპირებაში დამარცხდება?

— რა თქმა უნდა. მაგრამ, მოდი, თანმიმდევრულად მივყვეთ: ბალტიისპირეთი რომ მტრულადაა განწყობილი, ეს საყოველთაოდ ცნობილია, მოლდოვაში საპარალამენტო უმრავლესობა და ოლიგარქი პლახატნიუკი ანტირუსულ ისტერიაში არიან. უკრაინის შესახებ, მოგეხსენებათ. იგივე ვითარებაა ყაზახეთშიც. ნაზარბაევმა კირილიცას მაგივრად ლათინური შრიფტი დანერგა.

თვით სომხეთში აშშ-ის საელჩოში 200 თანამშრომელია დასაქმებული, როცა რუსეთის საელჩოში 60 კაცია. სომხეთში აშშ-ის საელჩო ყველაზე მრავალრიცხოვანია ახლო აღმოსავლეთში.

ანუ ცეცხლოვანი რკალი რუსეთის გარშემო სახეზეა.

— ბატონო სოსო, რა მოუტანა ფერადოვანმა რევოლუციებმა პოსტსაბჭოთა ქვეყნებს? თუ ერთად მათი განხილვა არამიზანშეწონილი და არაგონივრულია?

— ეს ქვეყნები, ძირითადად, დასავლეთის მიერ მათი გეოპოლიტიკური ინტერესების მიხედვით განიხილებიან, საჭიროების მიხედვით.

არავის უნდა ჰქონდეს ილუზია, რომ ამ ქვეყნებს ბევრი პრეფერენცია ექნებათ იმისთვის, რასაც ისინი აკეთებენ, ან უფრო სწორად, აკეთებინებენ. აშშ-ი მოქმედებს სრულიად კონკრეტული სქემით — ქვეყნებში ამყარებენ პოლიტიკურ კონტროლს. მათ მიერ კონტროლირებად ხელისუფლებებს კი იმას აკეთებინებს, რაც თვითონ აინტერესებთ და არაფრად აგდებენ საზოგადოებების განწყობებს.

— რატომ არ გახდა მაგალითი სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნებისთვის იგივე უკრაინის ან თუნდაც საქართველოს მაგალითი?

— საერთოდ, ძალიან ძნელია დასკვნების გამოტანა, რადგან ყველა სახელწმიფოს თავისი შიდა პრობლემები ახასიათებს და ამ პრობლემების გვირაბებიდან იხედებიან.

სომხებმა ვერ გამოიტანეს დასკვნები. ვერც გამოიტანდნენ. საქმე ისაა, რომ ანტიპატია იმდენად დიდი იყო სომხეთის ხელისუფლების მიმართ — კორუფცია, პრობლემები მართვის სფეროში და ა.შ. რომ ხალხის უკმაყოფილება საკმაოდ მასშტაბური იყო იყო.

დასავლეთის ალტერნატივა გაცილებით უარესია, ფერადი რევოლუციების შედეგები კი უმძიმესი, მაგრამ ის, რითაც მანიპულირებს დასავლეთი, ხალხს აიძულებს თვალი დახუჭონ მოსალოდნელ შედეგებზე.

რაც ნაკლები იყო დასავლური გავლენა, იმ პოსტსაბჭოთა ქვეყნებმა უფრო შეინარჩუნეს მოსახლეობის კეთილდღეობის ნიშა, მაგალითად, ბელორუსში, ყაზახეთში...

— საქართველო კი ახალი შიდაპოლიტიკური ძვრებისთვის ემზადება. როგორც მოგეხსენებათ, ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკაში დაბრუნდა...

— ივანიშვილი ძალიან შეზღუდულია იმ გავლენით, რაც ლიბერალურ ფრთას აქვს და მხარდაჭერილია სოროსისა და დასავლელი ლიბერალების მიერ.

მისი დაბრუნება შეიძლება განვიხილოთ იმ კონტექსტში, რომ ეს გავლენები სუსტდება. დონალდ ტრამპის ადმინისტრაციაში მაიკ პომპეო მოვიდა. ის, სავარაუდოდ, შეცვლის მიმართულებას, ლიბერალური წნეხი და კონტროლი მოსალოდნელია, შეიცვალოს. თუ ასე განვითარდა მოვლენები, დადებითი ძვრები შეიძლება მოხდეს და ბიძინა ივანიშვილს, შესაძლოა, საშუალება მიეცეს რადიკალური ცვლილებები განახორციელოს.

ირანდა კალანდაძე
593 56 11 18

P.S სომხეთის პარლამენტში პრემიერმინისტრი ვერ აირჩიეს

სომხეთის ეროვნულმა კრებამ დღეს ქვეყნის პრემიერმინისტრი ვერ აირჩია, რომელზეც ერთადერთი კანდიდატი ნიკოლა ფაშინიანი იყო წარდგენილი.

მას მხარი 45-მა დეპუტატმა დაუჭირა მხარი. პრემიერის ასარჩევად 53 დეპუტატის მხარდაჭერა იყო აუცილებელი.

საკითხი დღეს, პარლამენტის საგანგებო სხდომაზე განიხილეს. ნიკოლ ფაშინიანის წინააღმდეგ ხმა მმართველი „რესპუბლიკური პარტიის" დეპუტატებმა მისცეს.

ბესო ხვედელიძე:

მე ვცდილობ და ყველამ უნდა ეცადოს, კარგად გააკეთოს საქმე, რომელსაც ხელი მოჰკიდა

ინტერვიუ კლინიკური ონკოლოგიის ინსტიტუტის უროლოგიური სექტორის ხელმძღვანელთან ბატონ ბესო ხვედელიძესთან.

— ბატონო ბესო, ძირითადად, საქართველოში რა უროლოგიური ტიპის დაავადებებია გავრცელებული და როგორია ამ დაავადებების განკურნების სტატისტიკა?

— უროლოგია თირკმელების, საშარდე ბუშტის, შარდსაწვეთი და შარდსადენი მილების დაავადებებს განიხილავს მამაკაცებშიც და ქალებშიც.

მამაკაცის შარდსადენი მილის ქირურგია მედიცინაში და კერძოდ, უროლოგიაში ძალიან რთული საკითხია. საქართველოში შარდსადენ მილებზე თუ ვინმე რაიმე სახის ოპერაციას წარმატებულად აკეთებს, ზედმეტი თავმდაბლობის გარეშე ვიტყვი, რომ მათ შორის მეც ვარ.

მამაკაცებს, ქალებისგან განსხვავებით, წინამდებარე ჯირკვალი, პროსტატა აღენიშნებათ, რაზეც სხვადასხვა ტიპის ოპერაციები კეთდება.

საოპერაციო პროსტატა მხოლოდ ასაკოვან ადამიანებში გვხვდება. მაგალითად, წინამდებარე ჯირკვალზე, ანუ პროსტატაზე ოპერაცია ახალგაზრდა ასაკში არის კაზუისტიკური შემთხვევა, იშვიათი გამონაკლისის გარდა.

ასაკოვან მამაკაცებს, 50 წლის ზემოთ, დაახლოებით 70%-ს აქვთ წინამდებარე ჯირკვლის პრობლემები, იგივე პროსტატის ჰიპერპლაზია.

იმ დასახელებული 70%-დან, დაახლოებით, 30–40% არის საოპერაციო. დანარჩენები მედიკამენტოზურ მკურნალობას ექვემდებარებიან.

— რამდენადაც ვიცი, პროსტატის ჰიპერპლაზია შეიძლება კეთილთვისებიანიც იყოს და ავთვისებიანიც.

— როგორც გითხარით, პროსტატის ადენომის დაავადება 50 წლის ზემოთ მამაკაცებს ემართებათ და შეიძლება ითქვას, გამონაკლისები თითქმის არ არსებობს.

ამ დაავადების პროვოცირებას გენეტიკური ფაქტორიც განაპირობებს, მაგალითად, თუ მამაკაცს ჰქონდა, ვთქვათ, პროსტატის სიმსივნე, დიდი ალბათობით მის შვილს და შვილიშვილსაც შეიძლება იგივე დაემართოს.

— პროსტატის სიმსივნე არ იკურნება?

— პირველ-მეორე სტადიაში პროსტატის სიმსივნე 100%-ით იკურნება. ამიტომ არის რეკომენდირებული სკრინინგი ასაკოვან მამაკაცებში. მამაკაცმა წელიწადში ერთხელ უნდა აიღოს სისხლის ანალიზი. ანალიზში ჩანს, რამდენად არის მომატებული პი-ეს-ეი — პროსტატის სპეციფიკური ანტიგენი, ანუ პროსტატის სიმსივნის მარკერი.

შეიძლება მამაკაცს არ აწუხებდეს არაფერი, მაგრამ პროსტატის ადენომის პირველი გამოვლინების მიხედვით უნდა მიხვდეს, რომ აუცილებლად საჭიროებს ექიმთან ვიზიტს, რადგან დიდი ალბათობით, შეიძლება არსებობდეს პროსტატის კიბო.

მნიშვნელოვანია, აგრეთვე, როგორ იზრდება გადიდებული პროსტატა — თუ პერიფერიებზე გაიზარდა, შეიძლება არ შეავიწროვოს შარდსადენი მილი და არ შეაწუხოს ავადმყოფი. ამიტომ სკრინინგი აუცილებელია.

ისეთ შემთხვევებში ხდება ოპერაციების ჩატარება საჭირო, როცა შარდსადინარ მილს კეტავს პროსტატის ადენომა თავისი მდებარეობით და მოცულობით, თორემ, როგორც ზემოთაც გითხარით, თუ ადენომა პერიფერიაში ვითარდება, ის შეიძლება 200 გრ კი იყოს, მაგრამ პაციენტს არ აწუხებდეს. უბრალოდ, ამის კონტროლი და მეთვალყურეობა, მედიკამენტოზური ჩარევა, სტაბილურობისა და ზედმეტი გართულებების თავიდან ასაცილებლად, აუცილებელია.

— როგორ გაიგოს პაციენტმა, როცა შარდსასქესო სისტემა შეაწუხებს, უროლოგს უნდა მიმართოს თუ სექსოლოგს?

— ძალიან ხშირად გარკვეულ ერექციულ დისფუნქციას მამაკაცებში საშარდე გზების ინფექციები განაპირობებს. ერექციულ დისფუნქციებში ინფექციური დაავადებები პირველ ეტაპზე არ განიხილება, მაგრამ წინამდებარე ჯირკვლის ინფექციები, პროსტატიტი, რაც ძალზე ხშირია ახალგაზრდებში, ურეთრიტი, ანუ შარდსადენი მილის ანთება, სათესლე ჯირკვლების ქრონიკული ანთებები, სხვადასხვა მექანიზმით, გარკვეულწილად, განაპირობებს სექსუალურ დისფუნქციებს და კონკრეტულად, ერექციულ დისფუნქციას, ნაადრევ ეაკულაციას და ა. შ.

თუ ყოველივე ეს გამოწვეულია ანთებითი პროცესებით, მაშინ თვითონ სექსოლოგი შეეცდება ჩაცხროს ანთებითი პროცესები, რათა ანთების გარეშე მდგომარეობას დააკვირდეს. თუ კვლავ არ აღმოიფხვრა პრობლემა, მერე უკვე უროლოგის პრეროგატივაა ასეთი ავადმყოფის მკურნალობა.

თუ სხვადასხვა სახის შარდსადენი მილის შევიწროებასთან გვაქვს საქმე, შეიძლება ეს იყოს ერთ-ერთი მაპროვოცირებელი ფაქტორი ერექციული დისფუნქციის. თუ უროლოგმა ოპერაციით ან მედიკამენტოზური ჩარევით არ მოაგვარა ეგ პრობლემა, მაშინ სექსოლოგი ვერაფერს გახდება.

— როგორც კი დავიწყეთ საუბარი, თქვენ მაშინვე პროსტატის ადენომაზე გაამახვილეთ ყურადღება, რატომ? საქართველოში ყველაზე გახშირებული დაავადება პროსტატის ადენომაა, თუ უროლოგიის ძირითადი თემა ეს არის?

პროსტატის ადენომაზე იმიტომ გავამახვილე ყურადღება, რომ შედარებით ხშირია ამ დაავადებით მომართვიანობა, ასევე ხშირია თირკმლის სიმსივნეებიც, შარდის ბუშტის სიმსივნეები და სხვა. ჩვენ ვაკეთებთ სერიოზულ ოპერაციებს ამ კუთხით.

შარდის ბუშტის სიმსივნე ერთ-ერთი გავრცელებული, ვერაგი დაავადებაა, როგორც ქალებში, ასევე მამაკაცებშიც. ასეთი ტიპის დაავადებები განსაკუთრებით ხშირია მწეველ მამაკაცებში.

შარდის ბუშტის სიმსივნეების ხელშემწყობ ფაქტორებში ნომერ პირველ ფაქტორად ნიკოტინი მიიჩნევა.

ჰაიდლაინები პირდაპირ გვატყობინებენ, რომ თამბაქოს მოხმარება დაავადებების მაპროვოცირებელი და გამამწვავებელია.

კონკრეტულად ჩვენს კლინიკაში და პირადად მე, ვაკეთებთ ტრანსურეთრულ ოპერაციებს, ანუ ოპერაციებს გაჭრის გარეშე, როგორც პროსტატაზე, ასევე შარდის ბუშტის სიმსივნეებზე და ა. შ.

ამ ერთი წლის განმავლობაში, დაახლოებით, 15 ცისტოპროსტატექტომიის ოპერაცია გვაქვს გაკეთებული, დერივაციის სხვადასხვა სახით.

— ბატონო ბესო, კიდევ რა ტიპის ოპერაციები ტარდება თქვენთან?

— ჩვენ ვაკეთებთ ნებისმიერი სახის ენდოსკოპიურ ოპერაციებს, კერძოდ, პროსტატაზე, შარდის ბუშტის სიმსივნეების დროს, შარდის ბუშტის კენჭების დროს, ასევე შარდსადენ მილზე ენდოსკოპიურ ოპერაციებს და ა. შ.

ჩვენს კლინიკაში, კონკრეტულად ჩემს მიერ კეთდება ყველა ტიპის პლასტიკური ოპერაცია. ტუჩის ლოწროვანის, ლოყის ლორწოვანის, ასევე ჩუჩის ლორწოვანის გამოყენებით და ა. შ.

ვაკეთებთ ონკოლოგიურ ოპერაციებს ყველა ორგანოზე. თუმცა. რაც აღსანიშნავია, ჩვენთან კეთდება ორგანოს შემნახველი ოპერაციები. მაგალითად, თირკმლის სიმსივნის დროს, როგორც წესი, ხდება თირკმლის ამოღება. ბოლო წლებია, ჩვენთანაც ვაკეთებთ თირკმლის შენარჩუნებას მაშინ, როცა მცირე ზომის სიმსივნე აღინიშნება ორგანოზე.

— დიდი ხანია, ამ კლინიკაში მოღვაწეობთ?

— ვმუშაობდი ალ. წულუკიძის სახელობის უროლოგიის ეროვნულ ცენტრში, რომლის ხელმძღვანელი დღემდე გახლავთ ბატონი ლაურ მანაგაძე. მე გავიარე ამ ინსტიტუტის სკოლა, ჩემი მასწავლებელი იყო და დღემდე რჩება ბატონი ლაური.

ახლა, როგორც ხედავთ, კლინიკური ონკოლოგიის ინსტიტუტში ვმუშაობ. აქ შესანიშნავი კოლექტივია შეკრებილი.

— პროფესიად ექიმობა რატომ აირჩიეთ? ხშირად ეს ოჯახური ტრადიციაა, თქვენთანაც ასე ხომ არ იყო?

— რაც მეხსიერება მაქვს, მას შემდეგ მესმოდა, რომ მე ექიმი უნდა გამოვსულიყავი. ჩემს ახლო ნათესავებში ექიმი თითქმის არავინაა.

— მადლობა უნდა ვუთხრათ თქვენი ოჯახის წევრებს — თქვენ უამრავი მადლიერი პაციენტი გყავთ.

— მე ვცდილობ და ყველამ უნდა ეცადოს, კარგად გააკეთოს საქმე, რომელსაც ხელი მოჰკიდა.

ირანდა კალანდაძე
593 56 11 18

ზეზვა მედულაშვილი

თანამედროვე ქართულმა მწერლობამ მეტად მძიმე დანაკლისი განიცადა.

გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი მწერალი და საზოგადო მოღვაწე ზეზვა ნიკოლოზის ძე მედულაშვილი, რომლის სახითაც ქართულ მწერლობას, სრულიად საქართველოს ჰყავდა დიდ ეროვნულ საქმეს შეჭიდებული დიდებული ლიტერატორი, რომელიც თითქმის ექვსი ათეული წლის განმავლობაში პირველხარისხოვანი თარგმანებით ანებივრებდა დახვეწილი გემოვნების მქონე ქართველ მკითხველს და მას მსოფლიო ლიტერატურის შედევრების მადლს აზიარებდა. არაერთი უცხოური ენის ჩინებული ფლობა, აზროვნების ფართო თვალსაწიერი, მრავალმხრივი და მრავალწახნაგოვანი ლიტერა-

ტურული ინტერესები ზეზვა მედულაშვილს დიახაც რომ ქართული კულტურისა და მწერლობის დესპანად აქცევდა მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში, სადაც იგი მუდამ სასურველ და საპატიო სტუმრად მიიჩნეოდა...

ზეზვა მედულაშვილი დაიბადა 1939 წლის 20 დეკემბერს იმდროინდელი კაჭრეთის რაიონის სოფელ არაშენდაში. 1957 წელს, არაშენდის საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, სწავლა განაგრძო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე, რომელიც 1962 წელს დაასრულა. უმაღლესი განათლების მიღების შემდეგ ზეზვა მედულაშვილი მუშაობდა თსუ აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის არმენოლოგიის კათედრის ლაბორანტად და კითხულობდა ლექციებს სხვადასხვა არმენოლოგიურ დისციპლინებში. 1970-1973 წლებში იყო იმავე კათედრის ასპირანტი. 1974 წლიდან სიცოცხლის ბოლო დღეებამდე საქართველოს მწერალთა კავშირის მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურული ურთიერთობების მთავარი სარედაქციო კოლეგიის უფროს მეცნიერ-რედაქტორად მუშაობდა და მნიშვნელოვანი წვლილი შეჰქონდა ქართული მთარგმნელობითი სკოლის წინსვლასა და განვითარებაში...

თავად განსაჯეთ. სწორედ ზეზვა მედულაშვილის დიდი რუდუნებისა და მუხლჩაუხრელი შრომის წყალობით ქართული სიტყვაკაზმული ლიტერატურის ნაწილად იქცა სომხური, აზერბაიჯანული, ტაჯიკური, თურქმენული, სპარსული, უზბეკური, გერმანული, რუსული მწერლობის საუკეთესო ნიმუშები. ამით მან ფასდაუდებელი ღვაწლი დასდო საქართველოს მეზობელი ხალხების მწერლობის ქართულად ამეტყველებას.

გრიგოლ ნარეკაცი, საიათნოვა, გ.სუნდუკიანი, ო.თუმანიანი, ა.ისააკიანი, ხ.აბოვიანი, ვ.ტერიანი, ე.ჩარენცი, ო,შირაზი, ს.კაპუტიკიანი, პ.ზეითუნიანცი, ჰ.მათევოსიანი, რ.დავოიანი — აი, იმ სომეხ მწერალთა არასრული სია, რომლებიც ამ მშვენიერმა შემოქმედმა თარგმნა. ამ თარგმანების გვერდით ზეზვა მედულაშვილის შემოქმედებაში უმნიშვნელოვანესი ადგილი უკავია აზერბაიჯანული ზღაპრების, ბაიათების, ხალხური ეპოსის „ქოროღლის“, ფიზულის, ნასიმის, ვაგიფის, ს.ვურღუნის, ს.რუსტამის, ფ.გოჯას, ა.აილისლის, რ.რზას, მ.არაზის, ანარის, ი.ჰუსეინოვის, ი.ისმაილზადეს და აზერბაიჯანული მწერლობის სხვა ღირსეული წარმომადგენლების თარგმანებს.

ძალზე მნიშვნელოვან ლიტერატურულ მოვლენას წარმოადგენს ზეზვა მედულაშვილის მიერ ომარ ხაიამის, ჰაფეზის, საადის (სპარსეთი), საბაჰათინ ალის (თურქეთი), ფულოდ ტოლისის, სადრიდინ აინის (ტაჯიკეთი), ალიშერ ნავოის (უზბეკეთი), მახთუმყულის (თურქმენეთი), რასულ გამზათოვის (დაღესტანი), რილკეს (ავსტრია), აფხაზი ალექსი ჯონუას, ივანე პაპასქირის, ოსი ნაფი ჯუსოითის ცალკეულ ნაწარმოებთა აჟღერება ქართულად.

ზეზვა მედულაშვილის მეგობარ მწერლებს მუდამ აოცებდათ მისი შემოქმედებითი ინტერესების მასშტაბურობა, ჭეშმარიტად ღრმა პროფესიონალიზმი. ამ ღვთივკურთხეული მთარგმნელის ფრაზა მოქნილი, ცოცხალი, ლაღი და დინამიური იყო. მისი შთაგონება ორგანულად ერწყმოდა ქართული პოეტური კულტურის თანამედროვე მიღწევებს, რაც განუმეორებელ პენწსა და ლაზათს მატებდა მის ნაკალმევს.

ზეზვა მედულაშვილის მრავალწლიანი ღვწა დიდი ივანე მაჩაბლის სახელობის პრემიით აღინიშნა. მინიჭებული ჰქონდა აგრეთვე ედიშე ჩარენცის სახელობის „კანდელის“ (სომხეთი), ნაჯაფ ნაჯაფოვის, აკადემიკოს ზაჰიდ ხალილოვის სახელობის (აზრბაიჯანი), „საბას“ და „საგურამოს“ პრემიები. დაჯილდოებული იყო ღირსების ორდენით, „ქართული კულტურის ამაგდარისა“ და „ქართული კულტურის დესპანის“ მედლებით.

საოცარ კეთილშობილებას, სიხალისეს, გულითადობასა და სიკეთეს ასხივებდა მუდამ დიდსულოვანებითა და დიდბუნებოვნებით გამორჩეული ეს ღვაწლმოსილი მწერალი. სწორედ ასეთად დაამახსოვრდებათ ზეზვა მედულაშვილი მის მეგობარ ქართველს მწერლებს, მისი კაშკაშა შემოქმედების თაყვანისმცემლებს.

საქართველოს მწერალთა კავშირი

„საერთო გაზეთის“ რედაქცია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ 45 წლის ასაკში მოულოდნელად გარდაიცვალა ჩვენი კოლეგა და მეგობარი, შესანიშნავი ჟურნალისტი, გაზეთ „საქართველო და მსოფლიოს“ მთავარი რედაქტორი

ირაკლი თოდუა

და თანაუგრძნობს მის ოჯახსა და ახლობლებს.

ირაკლი თოდუას გარდაცვალება დიდი დანაკლისია ქართული ჟურნალისტიკისთვის და მთელი საქართველოსთვის.

პანაშვიდი: 1 და 2 მაისს, ვაჟა-ფშაველას მე-3კვ. 25-ე კორპუსი.

გამოსვენება: 3 მაისს, ხუთშაბათს, 14 საათზე, წმინდა იოანე ღვთისმეტყველის ტაძრიდან (სანდრო ეულის ქუჩაზე, საპატრიარქოს ტელევიზია „ერთსულოვნების“ გვერდით).

ნარკოტიკის მოხმარებით ორი ახალგაზრდა გარდაიცვალა

შინაგან საქმეთა მინისტრმა გიორგი გახარიამ დაადასტურა ორი ახალგაზრდის გარდაცვალების ფაქტი. მისი თქმით, გამოძიება ნარკოტიკული ინტოქსიკაციის ვერსიაზეც მუშაობს.

„სამწუხაროდ, ჩვენ უნდა დავადასტუროთ გარდაცვალების ორი ფაქტი. რა თქმა უნდა, გამოძიების საქმეა, ზუსტად დადგინდეს, რა ვითარებაში და რის გამო დადგა ეს ფაქტი. შესაბამისად, გამოძიება მიმდინარეობს. მიმდინარეობს ისეთ ფორმატში, რომ ის განიხილავს ყველა ვერსიას და შესაბამისად, ჩვენ მაქსიმალურად გავაკეთებთ ყველაფერს, რომ რაც შეიძლება სწრაფად დადგეს შედეგი. კიდევ ერთხელ მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ ჩვენ არ შემოვიფარგლებით ერთი რომელიმე ვერსიით. ჩვენ გვაქვს სამწუხარო, ტრაგიკული ფაქტი, რომელსაც სრულად მოვფენთ ნათელს უახლოეს პერიოდში“, - თქვა გახარიამ.

ერთმნიშვნელოვნად მინდა აღვნიშნო, რომ საიტი, რომელიც ნარკოტიკს ავრცელებს არსებობს. თუმცა ჩვენ კომუნიკაციის მარეგულირებელთან ერთად უკვე ვიმუშავეთ და ეს საიტი დავბლოკეთ. მოგეხსენებათ, რომ თანამედროვე ტექნოლოგიების პირობებში არსებობს სხვადასხვა გზა, გვერდის ავლით იგივე საიტზე მოხვედრის. იმ ელექტრონული სივრცის, სადაც მსგავსი განაცხადებების განთავსება ხდება, სრულად გაკონტროლება სამწუხაროდ, დღევანდელი ტექნოლოგიების დონეზე შეუძლებელია. მიუხედავად ამისა, ჩვენ ყოველთვის სწრაფად ვრეაგირებთ როგორც ამ საიტთან დაკავშირებით, ასევე სხვა ანალოგიურ საიტებზე გამოქვეყნებულ ინფორმაციებზე, – განაცხადა გიორგი გახარიამ.

ცნობისთვის, ბოლო დღეები მედიაში ვრცელდება ინფორმაცია, რომ თბილისში ახალი ნარკოტიკი, „აბაზანის მარილი“, იგივე მეფედრონი გავრცელდა..

ზეზვა მედულაშვილის დამკრძალავი კომისიისგან

ზეზვა მედულაშვილის სამოქალაქო პანაშვიდი გაიმართება სამშაბათს და ოთხშაბათს 16 საათიდან განსვენებულის ბინაში (თბილისი, კახეთის გზატკეცილი, 36—3, II სადარბაზო, ბ. 34).

დაკრძალვა ხუთშაბათს სოფელ არაშენდაში.

ალო, ანტიოკუპაციური ტაქსია?

კეშას ბჟოვი

დაახლოებით ერთი წლის წინ, ჯომარდობის ფედერაციის პრეზიდენტმა, სამოქალაქო მოძრაობა „ძალა ერთობაშია" დაარსა. ბოლო დროს, მოძრაობის წევრები საოკუპაციო ხაზთან პატრულირებენ. ამბობენ, რომ პროტესტმა ქვეყნის ოკუპაციასთან დაკავშირებით, სოციალური ქსელიდან რეალურ ცხოვრებაში უნდა გადაინაცვლოს.

ხოდა, ხან ფოტოებს გვიგზავნიან ოკუპირებული ტერიტორიებიდან, ხან მტრის ბაზის მდგომარეობას გვამცნობენ და ხანაც დედაქალაქში დადიან „ანტიოკუპაციური ტაქსებით"...

მე არ ვკითხავ, ბატონ დავითს, სად იყო და რას აკეთებდა აქამდე, მშვენივრად ვიცი და იმიტომ.

მაგრამ ნამდვილად მაინტერესებს, ან მანქანების შესაძენი ფული საიდან გადმოირიცხა, ან საოკუპაციო ხაზთან პატრულირებისთვის საჭირო თანხები საიდან მოდის – ამ ადამიანების ოჯახებს ხომ რჩენა სჭირდებათ? მინიმალურ საარსებო მინიმუმს ხომ უხდის ვიღაც? – ხოდა, ვინ, ვინ გაფინანსებთ, ბატონო დავით? ვისი მოტანილი ფულით მიდიხართ ჩემი ქვეყნის საოკუპაციო ხაზთან, მინდა ვიცოდე.

მე მიყვარს ჩემი ქვეყანა, ბატონო დავით, არ ვიცი, თქვენზე მეტად თუ ნაკლებად, არავის და ვერავის შევეჯიბრები – ჩემი ქვეყნის სიყვარულში. მე მიყვარს ჩემი ქვეყანა და მისი ყოველი გოჯი – მაგრამ ქვეყანა მხოლოდ მიწა არ არის, ჩემი ქვეყანა – ჩემი ქართველია. ქართველის გარეშე, რა ფასია აქვს საქართველოს.

ხოდა, მითხარით, მითხარით, რომ შეგვიძლია ომის მოგება რუსეთთან, მითხარით და მოვალ, მოვალ და ვიომოთ.

მითხარით, რამდენი ადამიანი უნდა შეეწიროს კიდევ რუსეთთან ომს, ბატონო დავით, გადავთვალოთ მერე ჩვენი ქართველები, თუ ვეყოფით, თუ გეყოფით, მოვალთ და დაე, ჩავიხოცოთ და დავიბრუნოთ მიწა ქართული.

ოღონდ, რამე თუ ისე არ წავიდა, მე არ მყავს ავტომანქანა, ბატონო დავით, მე არც ანგარიშები მაქვს ბანკში, რომ გამოვიტანო და ქვეყნიდან გავიქცე...

ასეც რომ იყოს, რომ მქონდეს ანგარიში და ავტომანქანა – ვერ დავუტოვე მე ჩემს დაბომბილ ქვეყანას – ხოდა, რას იზამთ, რას გვიზამთ, რას ეტყვით მერე, ჩემს შვილს რას ეტყვით, ბატონო დავით?

მომაყარეთ, მიწა მომაყარეთ, ბატონო დავით, თუ ჩემს ქვეყანას წაადგება, მოვალ, ვიომებ და მომაყარეთ ქართული მიწა – მაგრამ, დანამდვილებით უნდა იცოდეთ, ზუსტად უნდა მითხრათ, რომ მოვიგებთ ომს, რომ ჩემი სისხლი არ იქნება ამაო.

გამოვიყვანეთ 2008 წელს დათვი ბუნაგიდან, ბატონო დავით, მერე? სად იყავით 2008 წელს, ბატონებო? რატომ არ შეაკალით თავი ოკუპანტს, რატომ არ დამიძახეთ მაშინ საბრძოლველად, რატომ არ ითხოვდით მაშინ ქუდზე კაცს? რატომ დავიხიეთ უკან, თუ მეტი შეგვეძლო? რატომ არ მივიყვანეთ დაწყებული საქმე ბოლომდე? რატომ შევძვერით ჩირგვებში?

სად იყავით, ბატონო დავით, გორი რომ იბომბებოდა? საზღვრები რომ გადმოჰქონდათ გოჯ-გოჯ ოკუპანტებს, მაშინ რას აკეთებდით? ვიცი, რასაც აკეთებდით, 2008 წელს დოკუმენტური ფილმის მონტაჟით იყავით დაკავებული.

სად იქნებით, ბატონო დავით, 2018 წელს, თუ ისევ გადმოვა დათვი შეტევაზე, თუ ისევ დაგვიპირებს დათვი დატორვას? გადამეფარებით, ბატონო დავით? გადაეფარებით, ჩემს გორს, ბატონო დავით? ეყოფა მერე თქვენი ფართო მკერდი ჩემს გორს, ბატონო დავით? გადაეფარება ჩვენი მკერდი და დაიცავს საქართველოს, ბატონო დავით?

ერთ თქვენს თანამოაზრეს ჰკითხეს ფეისბუქზე – თურქეთი არ არის ოკუპანტიო?

უპასუხა: – არა, თურქეთი ნატოს წევრი ქვეყანაა და ჩვენი პარტნიორი, ოკუპანტი ოსმალეთი იყო და არა თურქეთიო.

ხო, ნატოს წევრი ქვეყანა როგორ იქნება ოკუპანტი? მხოლოდ წაღებული ტერიტორიების გამოა თურქეთი ოკუპანტი?

თურქული წარწერებითაა გადაწერილი ბათუმის ყველა მეორე ოფისი, ყველა მეორე მაღაზია, ყველა მეორე კაფე...

თურქეთი რომ არ არის ოკუპანტი, ეგ იმ 16 წლის გოგონებს უთხარით, რომლებსაც თურქები გვიბახებენ.

თურქეთი რომ არ არის ოკუპანტი, ეგ იმ ოჯახებს უთხარით, რომლებმაც საჭმლის სანაცვლოდ, შვილები მისცეს თურქებს.

თურქეთი რომ ჩვენი პარტნიორია, ეგ თურქეთიდან დაპორტირებულ ქართველებს უთხარით, იქ მონებად მომუშავე ქართველებს უთხარით.

ქართველის ნაწამები სხეული იპოვნეს თურქეთში რამდენიმე დღის წინ.

გუშინ ქართველი ქალის დაჩეხილი გვამი დატოვეს თურქეთის ქუჩებში ცხოველთა საჯიჯგნად.

შარშან, დანის მრავლობითი ჭრილობით იპოვნეს ქართველი მღვდელი, თურქეთის ერთ ქალაქში, მართლმადიდებლური ტაძრის წინ დაგდებული.

წარმოდგენა თუ გაქვთ, რამდენი ქართველი კვდება და იკარგება თურქეთში?

ან, იქნებ, ამ თქვენს დამფინანსებლებს არ სურთ თურქეთში დაკარგული ქართველების ძიებაზე ფულის დახარჯვა, ბატონო დავით? თურქეთში მკვდარი ქართველი არ აინტერესებთ, იქნება, ფულის გამომგზავნებს? თურქეთში ნაწამები ქართველი არ არის, იქნება, გასაშუქებელი თემა და ბოდიშს გიხდით, რომ წამოვწიე.

ხომ ამბობთ, რომ გიყვართ საქართველო და ქართველები – ხოდა, დაგვყარეთ, დაგვყარეთ, მამულიშვილებლო, შინაურ მტერთან და წადით საზღვართან, გარეული დათვის გამოსაღვიძებლად, რომლის ტორის დანახვაზეც ქვეყანა ერთიანად იცლება ქართველებისგან, რომლის ერთ დაღრიალებაზე ბანკებიდან ხსნიან ანგარიშებს და პედალს აწვებიან.

მე არ ვარ მშიშარა, დამიძახეთ და ჩამოვალ, დავდგები და ვიომებ, ვიომებ და მოკვლა არ ვიცი, ამიტომ მომკლავენ, მომკლავენ და სანამ ჩემს გვამს გადმოაბიჯებენ, სანამ ჩემი გვამისგან გზას გაათავისუფლებენ – ფორა მოგეცემათ – არ ვიცი, გასაქცევი, თუ საომარი ფორა – არც ერთი მენანება და არც მეორე.

მხოლოდ მითხარით, რომ მოვიგებთ ჩვენ ომს.

მხოლოდ მითხარით, დანარჩენი საქართველო ვის დავუტოვოთ? ვის შევაჭამოთ? ვის ვაჩუქოთ?

მითხარით, ვინ გაზრდის ჩემს შვილს ქართველად – თურქი თუ არაბი?

მითხარით, რომელ ტაძარში ილოცებს ჩემი შვილი.

მითხარით, რა ენაზე ისაუბრებს ჩემი შვილი.

მითხარით, ვინ მომაყრის ქართულ მიწას.

მითხარით, რა ერქმევა ჩემს სამშობლოს.

555 46 08 04

ცნობილი ექიმი-სექსოლოგი არკადი მოროზოვი
კურნავს ასაკობრივ და სხვა მიზეზებით
გამოწვეულ სქესობრივ დისფუნქციებს.
არკადი მოროზოვს შეგიძლიათ
დაუკავშირდეთ ტელეფონის ნომერზე:
577 43 25 13

საერთო გაზეთი

მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა

გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ
შპს „ელვა-ჯი"-ს მეშვეობით
+995 32 238 26 73; +995 32 238 26 74

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის" სტამბაში.
აგლაძის 39. E-mail: asavaliprint@yahoo.com

ISSN 2233-3983